პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერწყმიდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 გვირა 27 ნოემბერი № 277 (17017) ფასი 2 კაპ. 1977

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღბენს:

მოწვეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია 1977 წლის 28 დეკემბერს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ჯ. ვილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1977 წლის 24 ნოემბერი.

ცხოვრების შუაგულში

მკითხველი, რომელიც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების კურსშია და რომელიც ცხოვრების მოქალაქეს მხედველობიდან არ რჩება არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, უთუოდ კმაყოფილებით ხედავს და გრძნობს იმ დიდ ცვლილებებს, იმ პოზიტიურ პროცესებს, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში ხდება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის ცნობილი დადგენილების შემდეგ.

წინა ხუთწლედი მეტად კარგი, ნაყოფიერი იყო საერთოდ ჩვენი ქვეყნისა და კერძოდ საქართველოსათვის. ჩვენმა ხალხმა, კომუნისტებმა, რომ იტყვიან, შეუძლებელი შეძლეს. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მძლავრი განვითარების, ახალი მიჯნების დალაშქვრის საბრძოლო ცფერები, ბევრს დაუჯერებლადაც რომ მოაჩნდა, გულთან მიიტანეს და საქმედ აქციეს.

ღირს იმის ერთხელ კიდევ გახსენება, რომ რესპუბლიკამ არამცთუ დაძლია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ქრონიკული ჩამორჩენა, არამედ ამ მხრივ იგი ამაყად მიაბიჯებს მოწინავე მოკავშირე რესპუბლიკათა რიგებში, რახთვისაც ყოველწლიურად ჭილდოდება გარდამავალი საკავშირო წითელი დროშით. ტრადიციად იქცა ყოველი კვარტალის, მთელი წლის დავალებათა ვადაზე ადრე, თანაც გადაჭარბებით შესრულება. ახლა თითზე თუ ჩამოითვლება ჩამორჩენილი საწარმოები. ალამიანის გამჭრიახმა თვალმა და გონებამ კარგად ალაღ ისეთ ინიციატივასა და თაოსნობას, მთელი ჩვენი ქვეყანა რომ აალაპარაკა. ერთი სიტყვით, ჩვენ ის ალარა ვართ, რაც ვიყავით, გამოვცვალეთ, გავიზარდეთ, დავწინაურდით, ავმაღლდით. და ყოველივე ამას უნდა ვუმადლოდეთ ჩვენი ხალხის გამჭრიან მარჯვნას და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ენერგიულ, თანამიმდევრულ ბრძოლას სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების უთუო შესრულებისათვის.

ეს ეკონომიკის სფეროში მომხდარი დადებითი შვრები! რაც შეეხება იდეურ-პოლიტიკურ და ზნეობრივ სფეროს, როგორც ცნობილია, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მიზანდასახული მუშაობა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის, რესპუბლიკის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში მაღალი იდეური და ზნეობრივი პრინციპების დამკვიდრებისათვის.

ვინ მოთვლის, რამდენი რამ გაკეთდა და კეთდება თითოეულ შრომითს კოლექტივში და მთლიანად რესპუბლიკაში ჯანსაღი მორალურ-პოლიტიკური ატმოსფეროს შექმნისათვის.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებსა და სხვა პარტიულ დოკუმენტებში განვითარებულ დებულებათა მიხედვით სულ უფრო და უფრო უმჯობესდება მშრომელთა აღზრდა კომუნისტური მორალის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და ხალხთა მეგობრობის, შრომისა და სახალხო დოვლათისადმი შეგნებული დამოკიდებულების, სოციალისტური დისციპლინისა და საერთო საქმისათვის პასუხისმგებლობის სულისკვეთებით. უკვე კარგა ხანია გაჩაღდა შეურიგებელი ბრძოლა მეშჩანური, ჭარმტაცობაუფლებელი ფსიქოლოგიის რეციდივების, ეკრძმესაკუთრული ტენდენციების, ბიუროკრატიზმის, მექრთამეობისა და სხვა მავნე გადმონაშთების, მოვლენების წინააღმდეგ.

ეგზამინატად, ეს საქართველოს კომუნისტების წინდა ბრძოლაა ადამიანში დაბუდებული ბოროტების წინააღმდეგ თვით მისხავე საკეთილდღეოდ, მომავალ თაობათა საბედნიეროდ.

ხავსებით ბუნებრივია, რომ ამ დიდ საშვილიშვილო, ეიმეორებთ, წმინდა ბრძოლაში მახარობივი ინფორმაციის ორგანოები, მათ შორის პარტიული პრესა, განზე არ გამდგარან, გვერდი არ აუქცევიათ ამ ბრძოლისათვის. პირიქით, და ეს სხვანაირად არც შეიძლებოდა, როგორც პარტიის საიმედო თანამემწენი დიდ როლს ასრულებენ ჯანსაღი საზოგადოებრივ-პოლიტიკური კლიმატის დამკვიდრებაში. ორი აზრი არ არსებობს იმაზე, თუ რარიგად გაიზარდა ამ ბოლო წლებში ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის ზემოქმედება ეკონომიკის, მეცნიერისა და კულტურის განვითარებაზე, მთელ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

გასახსენებლად ახლაც მწარეა არც ისე შორეული წარსულის მაგალითები, როცა მეტ-ნაკლებად პრესის პრინციპული გამოსვლების დროს, რამდენი ფიქრი იყო საჭირო, რომ კრიტიკა დონირებული ყოფილიყო, არ გახაილებოდა გარკვეულ ჩარჩოებს, რათა ვინმეს არ სწყენოდა და გართულებები არ მოჰყოლოდა ამას. ნამდვილად შემოქმედებითი მუშაობის ატმოსფერო, როცა ყველა პირობა იქმნება ინიციატივისა და დამოუკიდებლობის განვითარებისათვის, როცა ჟურნალისტს შეუძლია თამამად წეროს, თავისი სინდისის კარნახით, უკანასკნელი აერიოდის ერთ-ერთი თვალად ხაჩენი დამახასიათებელი ნიშანია.

ამგვარ ვითარებაში კი, როდესაც მართალ, პირუთვნელ სიტყვას, ასეთი ფასი დაედო, ათმაგად და ასმაგად უნდა გაიზარდოს ჩვენი პრესის, მის მუშაკთა პასუხისმგებლობა და მომთხოვნელობა, პროფესიული ოსტატობა და საქმის სიყვარული. ჩვენმა პრესამ სულ უფრო უკეთ უნდა გამოხატოს საზოგადოებრივი აზრი და ამაღლდეს მებრძოლი ორგანიზატორის დონემდე.

ჯერ კიდევ საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის ტრიბუნადან ნავსებით სწორად ითქვა, რომ ბევრ ჩვენს საგაზეთო მასალას არ ეტყობა ხათანადო პროფესიონალიზმი და ღრმა კომპეტენტურობა, აქტუალობა და სიმწყვავე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უკანასკნელ ხანს რამდენჯერმე სპეციალურად იმსჯელა როგორც რესპუბლიკური, ისე საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების მუშაობაში სერიოზულ ნაკლოვანებათა, ფაქტების დამახინჯებისა და შეცდომების შესახებ. ცენტრალური კომიტეტი სრულიად სამართლიანად მიგვითითებდა, რომ ბეჭდვითი სიტყვაც, როგორც საერთო პარტიული საქმის ნაწილი, საკუთარი პუბლიცისტური დაზერვიოს და მუდმივი ძიების შედეგად ყოველნაირად უნდა ზრდიდეს ყველაზე აქტუალური, საკვანძო, პრობლემური, მებრძოლური, პრინციპული მნიშვნელობის მქონე გამოსვლებით თავის წვლილს რესპუბლიკაში ამჟამად მიმდინარე დადებითი ძვრების განმტკიცებასა და გაღრმავებაში, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და ჩვენი პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში. ამასთანავე ამახვილებდა ყურადღებას, რომ გაზეთების რედაქციები ყოველთვის თვითკრიტიკულად როდი ეკიდებიან საკუთარ შუაბას, ბევრ სარედაქციო კოლექტივში ჯერჯვან ლონეზე ვერ დგას მინდობილი საქმისათვის თანამშრომელთა პასუხისმგებლობა, მომთხოვნელობა, ნაკლოვანებებისადმი შეუწყნარებლობის ვითარება.

როგორ აისახა შემდგომ ყოველივე ეს და ჯერჯვანი დასკვნები იქნა თუ არა გამოტანილი? სამწუხაროდ, ყველას დადებითად როდი შეგვაძლია ვუპასუხოთ ამ კითხვაზე.

ამას ადასტურებს ჩვენი რესპუბლიკის პრესისა და კერძოდ „კომუნისტის“ შესახებ ახლახან „პრავდაში“ გამოქვეყნებული სტატია საგაზეთო თემაზე — „გარდაქმნების პრიზმაში“.

სტატიის გამოქვეყნებისთანავე გაზეთ „კომუნისტის“ სარედაქციო კოლეგიამ და პარტიულომ თავიანთ გაერთიანებულ სხდომაზე, ხოლო შემდეგ რედაქციის პარტიული ორგანიზაციის კრებამ საქმიანად იმსჯელეს გაზეთ „პრავდის“ 14 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილი გ. ლებანიძის სტატიის გამო. როგორც სარედაქციო კოლეგიამ და პარტიულომ, ისე პარტიული ორგანიზაციის კრებამ სავსებით სწორად მიიჩნიეს სტატიაში გამოთქმული მართებული, პრინციპული კრიტიკული შენიშვნები და მიიღეს იგი სახელმძღვანელოდ შემდგომი მუშაობისათვის. „კომუნისტის“ რედაქციის კოლექტივი, მკითხველთა აქტივის დახმარებით ყველა ღონისძიებას განახორციელებს მითითებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, იმისათვის, რომ გადაჭრით ამაღლდეს გაზეთის, როგორც კოლექტიური აგიტატორის, პროპაგანდისტისა და ორგანიზატორის როლი რესპუბლიკის წინაშე მდგარ ამოცანათა შესრულებაში. ჩვენი პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, საქართველოს პარტიული ორგანიზაციისა და მთელი ხალხისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 და 1976 წლების დადგენილებათა ხორცშესხმისათვის.

გაზეთი „პრავდა“ ჩვენი პრესის მედროშე, ფლაგმანი ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებს თვალს საქართველოს პრესას და შეუფარავი არ რჩება მისი მოღვაწეობის როგორც დადებითი, სასახელოსო მოვლენები, ისე გულსატკენი, არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები. მას თავის ფურცლებზე არაერთხელ მიუცია მაღალი შეფასება, კერძოდ რესპუბლიკური გაზეთებისათვის, მხარი დაუჭერია მათი გამოსვლებისთვის, ამავე დროს პირუთვნელად, გაუზვიადებლად უთქვამს იმაზეც, რაც გვაკლია, რაც აფერმკრთალებს გაზეთების შინაარსს, ასუსტებს ბრძოლისუნარიანობას, აღელვებს ფართო მკითხველს, ხელიშუალის უფრო ქმედითად, ოპერატიულად დაეხმარონ პარტიულ კომიტეტებს, კომუნისტებს.

ამას ემსახურება სწორედ სტატია ხაგაზეთო თემაზე „გარდაქმნების პრიზმაში“.

აქვე უნდა გავიხსენოთ არც ისე დიდი ხნის წინათ გამოქვეყნებული სტატია — „ბიულეტენი თუ მებრძოლი ორგანო“? რომელიც აფხაზეთის საოლქო გაზეთების საქმიანობისა და ამ გაზეთებისადმი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის ბევრ მტკივნეულ საკითხს ეხებოდა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ „პრავდის“ ეს წერილები საგაზეთო თემაზე სცილდება დასახელებული გაზეთების ფარგლებს და მახში რელიეფურად, კეთილი მრჩევლის თვალით დანახულია მთელი ჩვენი პრესის — რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების სერიოზული შეცდომები, ხარვეზები, ამიტომ ეს სტატიები იძენენ ფართო ეფექტურობას და წარმოადგენენ მუშაობის ნათელ პროგრამას ჟურნალისტებისათვის.

ამოცანა ის არის, რომ სარედაქციო კოლექტივებმა, მათმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, ჟურნალისტთა პირველადმა ორგანიზაციებმა, კომუნისტებმა, პრესის ყოველმა მუშაკმა სათანადო დასკვნები გამოიტანონ ამ მასალებიდან, კრიტიკულად აწონ-დაწონონ თავიანთი საქმიანობა, ღრმად გააანალიზონ ნაკლოვანებათა გამომწვევი მიზეზები და შექმნან ეხეთი ატმოსფერო, როცა ყველა მუშაკი, უკლებლივ მთელი კოლექტივი შემოქმედებითად იწვის და იბრძვის, როცა პრესის ყოველ მუშაკს დაეუფლება მოლწეულით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა და, რაც მთავარია, შეეძლება არა მარტო ამ გრძნობის გამოხატვა, არამედ მისი საქმედ ქცევაც.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის არაერთ დოკუმენტში, განსაკუთრებით კი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენებაში „საქართველოს პარტიული ორგანიზაციის თაობაზე“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ კომუნისტების, კომკავშრომელების, მთელი ხალხის ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ ეკონომიკისა და კულტურის დარგში, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის განსაკუთრებულ, კომუნისტური ზნეობის განმტკიცების, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების დარგში უდავო წარმატებებთან ერთად ჯერ კიდევ გვაქვს ხუსტი უბნები, სერიოზული ნაკლოვანებები და ხარვეზები, ბევრი გადაუჭრელი პრობლემა და სიძნელე. ცენტრალური კომიტეტი ყოველთვის მთელი პრინციპულობით გვაფრთხილებს, რომ სახელმწიფო და საწარმოო დისციპლინის განმტკიცება, მავნე ტრადიციების, პროტექციონიზმის, მექრთამეობისა და სხვა ანტისაზოგადოებრივ გაბოლიებათა საბოლოო ამოძირკვა — ეს ერთდროული, ხანმოკლე კამპანია არ არის და ამიტომ ბრძოლა, დაუნდობელი ბრძოლა ამ მიმართულებით უნდა წარმოებდეს შეუპოვრად, თანამიმდევრულად, მთელი სიხასტიკით.

ჩვენი, საბჭოთა ჟურნალისტების, უზენაესი, უწმინდესი მოვალეობაა მუდამ ვიყოთ იდეოლოგიური ბრძოლის წინა ხაზზე, ცხოვრების შუაგულში. გვეჩიროს მხოლოდ აქტიური პოზიცია, როცა საჭმე ეხება სიახლის დანერგვას თუ ნაკლოვანებათა მხილებას. ამისათვის უნდა გამოვიკვლიოთ პუბლიცისტიკის მთელი არსენალი, მისი ყველა ეანრი, პროპაგანდისტული და მასობრივი მუშაობის ყველა ფორმა. აუცილებლად მავალწოთ ხაგაზეთო გამოსვლების სიღრმეს, არგუმენტაციის სიზუსტეს, აზრის სიმწიფეს, მათ მაღალ ეფექტიანობასა და ქმედითობას.

ამაში ჩვენ ფასდაუდებელ სამსახურს გაგვიწევს მდიდარი ლენინური მემკვიდრეობის ღრმად დაუფლება. ყველა ჟურნალისტისათვის უკვდავი მაგალითია ვ. ი. ლენინის — გენიალური მოაზროვნისა და მგზნებარე რევოლუციონერის ჩვენი პრესის ფუძემდებლური პრინციპები — პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპები. ვ. ი. ლენინმა დაგვიტოვა პუბლიცისტური შემოქმედების უბადლო ნიმუშები. და ჩვენი ცხოვრების მიზანიც სწორედ ის უნდა იყოს, რომ ვისწავლოთ ლენინისაგან, თუ როგორ უნდა მოვაზმაროთ მთელი ჩვენი ცოდნა, ნიჭი და უნარი პარტიის საქმეს, ხალხის საქმეს.

ეჭვი არ არის, რომ ყოველი სარედაქციო კოლექტივი, ჟურნალისტთა მრავალათასიანი არმია, პრესის თითოეული მუშაკი გაათკეცებული ენერგიით უპასუხებს პარტიის მზრუნველობასა და ყურადღებას, მუდამ კრიტიკულად შეაფასებს ყოველ ვადაგმულ ნაბიჯს და თავის წვლილს შეიტანს სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებების და მეათე ხუთწლედის დიდი პროგრამის განხორციელებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ფართო პროპაგანდა გავუწიოთ და შევისწავლოთ ლ. ი. ბრეჟნევის სტატია „კომუნიზმის გზის ისტორიული მიჯნა“

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა და დაამტკიცა იმ ღონისძიებათა გეგმები, რომელთა შესაბამისად პროპაგანდა უნდა გავუწიოთ და შევისწავლოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სტატია „კომუნიზმის გზის ისტორიული მიჯნა“, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალში „პრობლემი მირა ი სოციალიზმა“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტებს მოაწყონ პროპაგანდისტთა, ლექტორთა, მომხსენებელთა, აგიტკოლექტივებისა და პოლიტინფორმატორების ჯგუფების ხელმძღვანელთა სემინარების სპეციალური მეცადინეობა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სტატიის „კომუნიზმის გზის ისტორიული მიჯნის“ პროპაგანდისა და შესწავლის ორგანიზაციის საკითხზე.

პარტიული და კომკავშირული პოლიტგანათლების, ეკონომიკური სწავლებისა და პროპაგანდის მასობრივი ფორმების სისტემაში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სტატია უნდა შეისწავლონ მოხსენებასთან — „დიდი ოქტომბერი და კაცობრიობის პროგრესი“ და დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის სხვა მასალებთან ერთად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურ სახლს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს დაევალათ პროპაგანდისტების, აგიტატორების, პოლიტინფორმატორების, ლექტორების, მომხსენებლების დასახმარებლად მაღალკვალიფიციური ლექტორებისა და საზოგადოებათმცოდნე მეცნიერების მონაწილეობით მოაწყონ მორიგი ტელემეცადინეობა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სტატიის შესწავლის მიზნით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს წინადადება მიეცა ქართულ ენაზე ბროშურად გამოსცეს ტექსტი ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სტატიისა „კომუნიზმის გზის ისტორიული მიჯნა“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფმა უნდა შეიმუშაოს და პრესაში გამოაქვეყნოს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სტატიის შესახებ ლექციების, მოხსენებებისა და საუბრების სანიმუშო თემატიკა.

საზოგადოება „ცოდნის“ რესპუბლიკურ გამგეობას დაევალა საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში მოაწყოს ლექციები, თეორიული კონფერენციები, კითხვა-პასუხის საღამოები იმ თეორიულ პრობლემებზე, რომლებიც გამომდინარეობს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სტატიიდან.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიის ისტორიის ინსტიტუტს — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალს დაევალა 1977 წლის დეკემბერში მოაწყოს თეორიული კონფერენცია თემაზე: „განვითარებული სოციალისტური საზოგადოება კომუნიზმის მშენებლობის გზის ისტორიული მიჯნაა“.

განათლების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა სპეციალური ლექციასაუბრები უნდა მოაწყონ მოსწავლე ახალგაზრდობისათვის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სტატიის შესასწავლად, ამასთან გამოიყენონ გამოცდილება, რომელიც შეძენილია დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის მასალებისა და სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის შესწავლის დროს.

რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს დაევალათ გაშალონ იმ თეორიული დებულებებისა და პრაქტიკული დასკვნების ფართო პროპაგანდა, რომლებსაც შეიცავს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სტატია, რიხთვისაც ამ საქმეში ჩაბან მაღალკვალიფიციური საზოგადოებათმცოდნე მეცნიერები. (საქინფორმი).

ზარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის უმაღლესი ამაღლებისათვის

რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

26 ნოემბერს თბილისში მუშაობას განაგრძობდა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების საკითხებისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია.

მუშაობდნენ მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის; მსუბუქი და კვების მრეწველობის; სოფლის მეურნეობის; ეკონომიკისა და დაგეგმვის; სამშენებლო ინდუსტრიისა და საშენ მასალათა მრეწველობის; იურიდიული სექციები. სექციების სხდომებზე მოისმინეს ხელმძღვანელ პარტიულ, სამეურნეო მუშაკთა, მეცნიერთა, სამინისტროების, უწყებების, საწარმოო გაერთიანებების, საწარმოების, სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების, საბჭოთა მეურნეობების, ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელთა მოხსენებანი.

კონფერენციის მონაწილენი გაეცნენ ქალაქების თბილისისა და რუსთავის საწარმოების, გარდაბნის რაიონის საბჭოთა მეურნეობების მუშაობას.

იმავე დღეს გაიმართა საბოლოო პლენარული სხდომა, რომელზეც მოისმინეს სექციათა ხელმძღვანელების ინფორმაციები სექციების მუშაობის დროს განხილულ ძირითად საკითხებსა და კონფერენციის რეკომენდაციათა პროექტის გამო წამოყენებული წინადადებების შესახებ.

თბილისის, ბათუმის, ქუთაისისა და რუსთავის დელეგაციებს შორის მუშაობის გამოცდილების გაზიარების შესახებ კონფერენციის მონაწილეებს მოახსენა პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **რ. ბ. გიორგაძემ.**

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **გ. ვ. კოლბინმა.**

კონფერენციის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით გაუგზავნეს წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს. (საქინფორმი).

ახალგაზრდული მოძრაობის დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი

ლენინგრადი, 25 ნოემბერი. (საკკლესის კორ.). დღეს ნევსკისპირა ქალაქში დამთავრდა საერთაშორისო შეხვედრა „ოქტომბერი და ახალგაზრდობა“, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს მიეძღვნა. ყველა კონტინენტის ასზე მეტი ქვეყნის წარმოგზავნილებმა გააანალიზეს ოქტომბრის მხოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა მსოფლიოს ბედისა და პლანეტის ახალგაზრდა თაობებისათვის, იმსჯელეს მშვიდობისა და დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის პრობლემებზე.

ვ. ი. ლენინი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის შესახებ

კოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა კრებული „ვ. ი. ლენინი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის შესახებ“. კრებულში შეტანილია ვ. ი. ლენინს სტატიები, სიტყვები, წერილები და ცალკეული გამონათქვამები პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის საკითხებზე. წიგნში ფართოდ არის წარმოდგენილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დოკუმენტები და მასალები, რომლებიც მოწმობს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუდმივ ზრუნვას იმისათვის, რომ პარტიული ორგანიზაციები და პარტიული კომიტეტები ავლენდნენ მაღალ მომთხოვნელობას, ამასთან იბრძოდნენ დისციპლინის განმტკიცებისათვის, თითოეულ მუშაკს ზრდიდნენ საქმისადმი სახელმწიფოებრივი დამოკიდებულების სულისკვეთებით.

კრებულის მასალები პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს პარტიულ და სამეურნეო აქტივს, ხელს შეუწყობს კადრების საქმიანობის ლენინური სტილის შემდგომ დაუფლებას.

კრებული დაიბეჭდა მოსკოვის სტამბა „ოქტომბერი პროლეტარი“.

(საკკლესა).

საიუბილეო წელს—დამკვრელური ფინიში



საიუბილეო წლის ფინიშზე დღითი დღე მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს დედაქალაქის სალოკომოტივო დეპოს კოლექტივი. ქვეყნის იუბილეს — დიდი ოქტომბრის მესამოცე წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების საგრძნობი გადაჭარბებით შესრულებით საწარმოს მრავალმა მუშამ ისახელა თავი. ბევრმა მათგანმა მნიშვნელოვნად გაუსწრო დროს და ამჟამად მომავალი 1978 წლის ანგარიშში უშვებს პროდუქციას.

იმათ შორის, ვინც დროს გაუსწრო, არის ხარატი ვ. მონახელიძე, რომელიც 80 წელზე მეტია, რაც თავდადებული შრომით იღვწის მშობლიური საწარმოს ღირსებისათვის. ვ. მონახელიძე მიღწეული მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის დამსახურებულად ატარებს ხაპატიო რკინიგზელის წოდებას და შრომაში ახალგაზრდა მუშებისათვის ყოველთვის მაგალითის მიმცემია.

ს ურ ა თ ზ ე: ვ. მონახელიძე.

დ. ანდრიაშვილის ფოტო.

ჩარსმშენებელთა წარმატება

საიუბილეო წლის დამკვრელური ვახტი კვლავ გრძელდება თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში. კიროველებმა ორმაგი გადაჭარბებით შეასრულეს პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის ვალდებულება და გადაწყვიტეს ჩვენს ქვეყანას წლის ბოლომდე დარჩენილ დროში გეგმის გადაჭარბებით მიწევენ კიდევ 60 ათასი მანეთის ჩარხი.

მაღალი ტემპით

თბილისის საწარმოო გაერთიანების კოლექტივს მუშაობის მაღალი ტემპი დაეხმარა, რათა გრაფიკით გათვალისწინებული 14 თვის ნაცვლად ექვს თვეზე ადრე 60 ნაბი სპროექტო სამძღვარით ექმოქმედებინა ასამუშავებელ-მარეგულირებელი მექანიზმების დეტალების გამამზადებელი პირველი ნაკადური ხაზი.

11 თვის გეგმა ვადამდე

ტყიბული. ტყიბულის ვ. ი. ლენინის სახელობის შახტის კოლექტივმა ვადამდე, 17 ნოემბრამდე, 11 თვის შეასრულა ქვანახშირის მოპოვების თერმეტი თვის გეგმა. ახლა მის ანგარიშზეა წლის დამდეგიდან გეგმის გადაჭარბებით მიღებული 70 ეშელონი სათბობი.

საიუბილეო წლის უკანასკნელ დეკადის ანგარიშში შრომობს შახტის მე-6 უბნის მოწინავე კოლექტივი. ამ საწარმოს მეშახტეთა ბრიგადამ კომპლექსურმა ბრიგადამ 1978 წლის პირველი ნახევრის ანგარიშში დაიწყო მუშაობა.

მეჭარხლეთა ტკბილი ნოგათი

წლიური გეგმა შესრულებულია

ჩვენმა რესპუბლიკამ ვადამდე შეასრულა სახელმწიფოსათვის შაქრის ჭარხლის მიყიდვის გეგმა. მთელი რიგი რაიონების მეურნეობებმა საიუბილეო წლის ვალდებულებათა ანგარიშში დაიწყეს შაქრის ჭარხლის დამზადება. გეგმებისა და ვალდებულებების წარმატებით შესრულებას ისახავს მიზნად სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „1977 წლის შაქრის ჭარხლის მოსავლის დროულად აღების, გადაზიდვისა და გადამუშავების უზრუნველყოფისათვის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“. ეს დოკუმენტი გამოხატავს პარტიის ზრუნვას სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

ჭართველმა მეჭარხლეებმა, რომლებიც უპასუხებენ პარტიისა და მთავრობის ზრუნვას, ვალდებულება იკისრეს გეგმით გათვალისწინებული 123.000 ტონის ნაცვლად აიღონ 138.000 ტონა შაქრის ჭარხალი. მეჭარხლეები პირნათლად ასრულებენ საბუნებო — ნაშურის, კახეთის რაიონების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეურნეობებმა უკვე უპატაკეს ვალდებულების შესრულება და განაგრძობენ შაქრის ჭარხლის მოსავლის აღებას.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა ორგანიზაციის სამმართველოს მონაცემებით 23 ნოემბრისათვის რესპუბლიკაში დამზადებულია შაქრის ჭარხალი (ტონობით):

რაიონები	დამზადებული	გეგმის შესრულების პროცენტი
ნაშურის	23.220	114,9
ქარელის	35.760	96,1
გორის	33.795	86,2
კასპის	16.540	122,5
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	15.102	[illegible]
სულ რესპუბლიკაში	124.418	101,[illegible]

(საქინფორმი).

„პრავდის“ ფურცლებზე

ახალგაზრდა საბჭოთა ინტელიგენციის აღზრდა, მისი ფორმირება უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ მივა საამქროსა თუ ფერმაში წარმოების შუთაორად, ვინ აიღებს ხელში ქირურგის სკალპელს ან დადგება საკლასო დფოსთან.

ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების, საფიზიკო ამოცანებს უძღვნის გაზეთი მოწინავე წერილს „უმაღლესი სკოლის პასუხისმგებლობა“.

ღრმად სწვდებიან რა სასწავლო პროცესის შინაარსს, — წერს გაზეთი, — რექტორატები და დეკანატები, კათედრების ხელმძღვანელები უფრო ფართოდ უნდა დაეურდნონ უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგიკის მიღწევებს, რომლებიც ხელს უწყობენ მოცოდნე, ფართოდ განათლებული, შემოქმედებითად მოაზროვნე ადამიანის ჩამოყალიბებას. ამ საქმეში მათთვის დახმარების გაწევა უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების საკავშირო და რესპუბლიკური სამინისტროების პირდაპირი მოვალეობაა. დროა შეძენილი გამოცდილებისა და ხვალინდელი დღის მოთხოვნების პოზიციით განვიხილოთ უმაღლესი სასწავლებლების თითოეულ ჯგუფსა და სპეციალობაში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომი აქტივიზაციის საკითხები. უფრო აქტიურად უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ მუშაობის პროგრესული მეთოდები უფრო სწრაფად ხდებოდეს საერთო კუთვნილება, ამასთან გამოვიყენოთ კვალიფიკაციის ამაღლებისა და სახელმწიფო ინსპექტორების სისტემა, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, რექტორთა საბჭოები, უმაღლესი სასწავლებლების კოოპერაცია.

გაიმართა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი — „ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის გაუმჯობესებისა და კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების თაობაზე სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ“. პლენუმის ანგარიში დაბეჭდილია სათაურით „ზრუნვა ახალგაზრდობაზე“.

ჟურნალში დაბეჭდილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის, კაპიტონოვის სტატია „საბჭოთა ოჯახი ადამიანთა ხელმძღვანელი და ფორმირების ძალა“, მოწინავე „მარქსიზმ-ლენინიზმის დროთ პარტია გვიკვალავს მომავლის გზას“ და სხვა მასალები.

„პრავდა“
„ა'რგიინაია ქეგნის“
მორიგი ნომერი

გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ეროვნული „პარტიინაია ჟიზნის“ მორიგი, ოცდამესამე ნომერი. ჟურნალი იხსნება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის სტატიით „კომუნიზმის გზის ისტორიული მიჯნა“, რომელიც შემოქმედებულია ჟურნალ „პრობლემური ი სოციალიზმის“ 1977 წლის მე-12 ნომერში. დაბეჭდილია მასალები ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისათვის კარლ მარქსის ხელნაწერის ოქროს მედლის გადაცემის შესახებ, ჯილდოს გადაცემის საზეიმო ცერემონიაზე ბ. ალექსანდროვისა და ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლები.

ჟურნალში დაბეჭდილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის, კაპიტონოვის სტატია „საბჭოთა ოჯახი ადამიანთა ხელმძღვანელი და ფორმირების ძალა“, მოწინავე „მარქსიზმ-ლენინიზმის დროთ პარტია გვიკვალავს მომავლის გზას“ და სხვა მასალები.

პარტიული ცხოვრება

სოციალისტური ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე დიდი ყურადღება ეთმობა პროდუქციის ტექნიკური დონის სრულყოფასა და ხარისხის გაუმჯობესებას, როგორც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას.

ხარისხის პრობლემა ყოველთვის იყო ქუთაისის პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში. პროდუქციის ხარისხთან დაკავშირებული საკითხები რეგულარულად განიხილებოდა საქალაქო კომიტეტის პლენუმებსა და ბიუროს სხდომებზე. ვისმენდით ცალკეული საწარმოთა ხელმძღვანელებისა და პარტიული კომიტეტების ანგარიშებს, მაგრამ მარტო ეს არ იძლეოდა სასურველ შედეგებს. ეს იმიტომ, რომ ახლო წარსულში პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას ერომანეთისაგან განცალკევებულ ღონისძიებათა განხორციელებთან, ორგანიზაციულ-ტექნიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტების გაუთვალისწინებლად ცდილობდნენ. ამის გამო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების პრობლემა ქალაქის სამრეწველო საწარმოებისათვის გადაუჭრელ ამოცანად რჩებოდა. დიდი იყო მიღებულ რეკლამაციათა რაოდენობა, უხარისხო პროდუქციისათვის გადახდილი ჯარიმის თანხა და შიდასაწარმოო წუნით გამოწვეული ზარალი. უმნიშვნელო იყო

ეარისხი და კიდევ ხარისხი!

წარმოების საქმე

ცხოვრების მოთხოვნათა დონეზე

საექსპორტო და ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წონა მოლიან პროდუქციაში.

შექმნილი მდგომარეობა გვიკარნახებდა, რომ ქალაქის მასშტაბით შექმნილიყო ხარისხის მართვის ერთიანი ცენტრი, რომელიც მეთოდიკურ ხელმძღვანელობას გაუწევდა საწარმოებს, დაუწესებდა კონტროლს ხარისხის გაუმჯობესების ორგანიზაციულ-ტექნიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ღონისძიებათა პროგრამის შესრულებისადმი.

ამ მიზნით გავეცანით ჩვენი ქვეყნის ქალაქებისა და საწარმოების პარტიული ორგანიზაციებისა და კოლექტივების დადებითს და მოცდილებას, ხარისხის მართვის სრულყოფის საქმეში საქართველოს კომპარტიის ქუთაისის ქალაქო კომიტეტმა მიზანშეწონილად ცნო განეზოგადებინა ქალაქების — სარატოვის, გორკის, იაროსლავლის, ლვოვისა და სხვათა მუშაობის გამოცდილება. შესაბამისად ქალაქის პარტიული აქტივის, საწარმო-დაწესებულებათა და საქალაქო კომიტეტის წარმომადგენლებისაგან შეიქმნა ხარისხის მართვის საქალაქო შტაბი, რომელსაც დავალა შეემუშავებინა პროდუქციის ხარისხის მართვის საქალაქო სისტემის ფუნქციონირების საფუძვლები.

სისტემის მიზანია გადაწყვეტის ხარისხის მართვის დარგობრივი სისტემების წარმოების ფუნქციონირების იდეოლოგიური და ორგანიზაციული უზრუნველყოფის ამოცანები, აამაღლოს მასების შემოქმედებითი აქტიურობა.

ხარისხის მართვის საქალაქო შტაბი თავის მუშაობაში ითვალისწინებს ორ ძირითად მხარეს:

პირველი — ქალაქის პარტიული ორგანიზაციისა და კოლექტივის მუშაობა წარმართოს იმ მიმართულებით, რომ შესაძლებელი გახადოს პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხის ამაღლების პრობლემის ღრმა ინკინრული გადაწყვეტა. მუშაობის ასეთი მეთოდი მოითხოვს ტექნიკური სამსახურების არსებითს ორგანიზაციულ გარდაქმნას, წარმოებაში პროდუქციის მაღალი ხარისხის სტაბილურობისათვის ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებას, კონტროლის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას, საწარმოთა ხელახალ ტექნიკურ აღჭურვას და სხვა საკითხებს.

მეორე — დარაზმოს პარტიული ორგანიზაციები და სამრეწველო კოლექტივები შინაგანი რეზერვების გამოსავლენად, პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და მისი საიმედოობის უზრუნველყოფისათვის საჭირო მატერიალური წანამძღვარების შესაქმნელად.

ხელმძღვანელობდა რა ამ საერთო მოსაზრებებით, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა ხარისხის მართვის საქალაქო შტაბის მეშვეობით მთელი თავისი ორგანიზატორული და იდეურ-პოლიტიკური მუშაობა იმისათვის წარმართა, რომ ქალაქის მრეწველობაში შექმნილიყო რეალური საფუძვლები ხარისხის ხელმძღვანელობის წარმატებული დამთავრებისათვის. ამ მიზნით სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის სამეცნიერო-კვლევითის ინსტიტუტთან მჭიდრო კავშირით მომზადდა და გაიმართა ქალაქის სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც პროდუქციის ხარისხის თანამედროვე პრობლემებს მიეძღვნა. კონფერენციაზე საწარმოთა გამოცდილების ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე მიიღეს რეკომენდაციები ხარისხის მართვის სისტემების შესამუშავებლად და წარმოებაში დასანერგად. კადრების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ქუთაისის პოლიტექნიკურ

ინსტიტუტთან ჩამოყალიბდა სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და ხარისხის მართვის დარგში ხელმძღვანელთა და ინჟინერ-ტექნიკოურ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების საკავშირო ინსტიტუტის კურსები. დღემდე ამ კურსებზე კვალიფიკაცია აიმაღლა 484 სამეურნეო ხელმძღვანელმა, მსუბუქი და კვების მრეწველობის 70 და ქალაქის მრეწველობის სხვა დარგების 300-ზე მეტმა სპეციალისტმა და პარტიულმა მუშაკმა.

ხარისხი, უპირველეს ყოვლისა, მუშაობა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა შრომის ხარისხია, ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ხარისხის მართვის საქალაქო სისტემაში ერთ-ერთი საკითხად საწარმოთა მუშაობის ხარისხის შეფასება და ანალიზი შეგვეტანა. შესაბამისად შემუშავდა პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის საწარმოთა მუშაობის შეფასების მეთოდიკა, რომელიც საშუალებას იძლევა ოროს განსაზღვრულ პერიოდში ხარისხის კოეფიციენტის საშუალებით პროცენტულად შევაფასოთ საწარმოთა კოლექტივების შრომის ხარისხი, ერომანეთს შეგადაროთ ცალკეულ საწარმოთა მუშაობის შედეგები, გამოვაელინოთ ხარისხის მიხედვით მოწინავე კოლექტივები და აგზსნათ ჩამორჩენილ საწარმოთა სუსტი მუშაობის მიზეზები. ეს მაჩვენებელი გამოიყენება სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას.

კიდევ უფრო სრულყოფილი გახდა, მეტი დამაჯერებლობა და სიცხადე შეიტანა ხარისხის მართვის საქალაქო სისტემის მუშაობაში სტანდარტისა და გასაზომი ტექნიკისადმი სახელმწიფო ზედამხედველობის ქუთაისის ლაბორატორიის და საქონლის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის ქუთაისის პუნქტის მიერ პროდუქციის ყოველკვარტალური შემოწმების შედეგების შეჯამების პრაქტიკამ. შემოწმების მასალები გათვალისწინებული იქნება აგრეთვე სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას.

ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციამ რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველმა დაუჭირა მხარი და

განზოგადა საწარმოთა სტანდარტების ბაზაზე ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის შემუშავებისა და დანერგვის საყურადღებო ინიციატივას, როგორ მეტხრ ხუთწლედის ბოლო წელი ხარისხის კომპლექსური სისტემების შემუშავებისა და დანერგვის დაწყების წელიწადად გამოცხადდა.

შესაბამისად 1975 წელს ქალაქის სამრეწველო საწარმოებში მოეწყო ხარისხის გაუმჯობესების შიდარეზერვების საზოგადოებრივი დათვალიერება. შესწავლილ იქნა მუშათა — ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა წინადადებები და რეკომენდაციები ხარისხის გაუმჯობესების, შრომის ორგანიზაციისა და წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფის თაობაზე. სისტემატურად განხილავდნენ მოძმე რესპუბლიკათა წინადადებებსა და შენიშვნებს, დათვალიერების შედეგებს პარტიულ და მუშა-მოსამსახურეთა კრებებზე, მუდმივმოქმედ საწარმოო თათბირებზე. მიღებულ წინადადებებს ითვალისწინებდნენ სამრეწველო საწარმოთა კომპლექსური ეკონომიკური გეგმების შედგენისას, რომელთა საფუძველზე შემუშავდა და დამტკიცდა პარტიის საქალაქო კომიტეტის კონფერენციაზე ხარისხის ხუთწლიანის პერსპექტიული პროგრამა. მასში მნიშვნელოვანი ადგილი დაითმო პროდუქციის ხარისხის ღონის დაგეგმვას. მისი მხოლოდ პირველი და უმაღლესი ხარისხით შეფასებისა და მეკუთვნების გზით. ყოველივე ეს დაგვეხმარება, რომ ხუთწლედის ბოლოს ქალაქის მრეწველობამ ხარისხის სახელმწიფო ნიშნით გამოუშვას 155 სახეობის ნაკეთობა, რომელთა ხვედრითი წონა პროდუქციის მთლიან მოცულობაში 36 პროცენტი იქნება.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ხელმძღვანელობითა და მათი უშუალო მონაწილეობით მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში. ქალაქის მასშტაბით შეიქმნა ხარისხის ამაღლებისათვის ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობა და წინა პლანზე წამოიწია ამ პროდუქციის გლობალური მასშტაბით გადაწყვეტის ამოცანა. დამკვიდრდა ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხახეობათა რაოდენობისა და მისი ხვედრითი წონის თანდათანობითი ზრდის ტენდენცია. ქალაქის ცალკეულმა სამრეწველო საწარმოებმა ეზრუნეს ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის შემუშავებისა და დანერგვისათვის. მაგალითად, ჩვენმა ხახელოვნამ ავტომშენებლებმა სტანდარტის სახელმწიფო კომიტეტის სამეცნიერო კვლევითს ინსტიტუტთან შემოქმედებითი კავშირით შეიმუშავეს და დანერგეს ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა „კოლხეთი“, რომლის შედეგად მიღწეულია ავტოსაწყვრების ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლების არსებითი გაუმჯობესება. მოდერნიზებული ავტომაფე „კაზ-608-ვი“ ხარისხის ნიშნით გამოდის, რომლის ხვედრითი წილი ქარხნის მთლიან პროდუქციაში 70 პროცენტი შეადგინა.

ამრეშუმის საწარმოო ვაერთიანების მეთიერ საწარმოში შეიქმნა ხარისხის მართვის განყოფილება, რომელიც კოორდინაციას უწევს პროდუქციის ხარისხის ფორმირების მონაწილე საწარმოს ყველა სტრუქტურული ქვეგანყოფილ. სამსახურების და განყოფილებების საქმიანობას.

მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა სამკერვალო ვაერთიანება „ველათაში“, რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხანაში, პოტკომბინატსა და სხვა საწარმოებში.

აღნიშნულ და სხვა განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ქალაქში ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხახეობათა რაოდენობა ღღეისათვის 80-მდე გაიზარდა და მისმა ხვედრითმა წონამ პროდუქციის მთლიან მოცულობაში უკვე 20 პროცენტს გადააჭარბა.

ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების საკითხებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც გუშინწინ გაიხსნა, დიდად დაეხმარება ჩვენი მრეწველობის მუშაკებს მეურნეობის მართვის გაუმჯობესების, შუამობის ეფექტიანობის ამაღლების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, მეურნეობის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების საქმეში.

გ. აბზიანიძე,
პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი.

საიუბილეო წლის ნობათები

გამარჯვებული მეჭარხლეები

გვესაუბრება საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი
გ. ლორთქიფანიძე.

მეათე ხუთწლედის მეორე საიუბილეო წელს თავდადებული შრომის შედეგებს იმკიან სამხრეთ ოსეთის სოფლის მშრომელები. განსაკუთრებით ისახელეს თავი შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლისათვის მებრძოლებმა.

სამხრეთ ოსეთში შაქრის ჭარხლის თესვის მრავალი წლის მანძილზე გმირული შრომის მეოხებით პირველად არის მიღწეული 15.000-ტონიანი მიჯნა.

მეჭარხლეთა შესანიშნავი წარმატება ოქტის მშრომელთა დიდი ენთუზიაზმისა და შემართების შედეგია. რაც გამოწვეული იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესამეცე წლისთავისათვის მზადებით.

ოლქის მეჭარხლეთა თავდაპირველი ვალდებულება იყო 13.000 ტონა ჭარხლის მიღება, მაგრამ დიდ იუბილემდე ერთი თვით ადრე მათ ხელახლა გადასინჯეს თავიანთი შესაძლებლობები და გადაწყვიტეს ეკისრათ გადიდებული ვალდებულება — 15.000 ტონის წარმოება. ამ დროისათვის მცენარეს ზრდა ძირითადად დასრულებული ჰქონდა, მაგრამ დარჩენილ დროში აგროწესების გამოყენებითა და მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებით უფრო დამსხვილდა და ჩამაქრა ნაყოფი. კალენდარულ ვადებში დაგროვეთ მოსავლის აღება, რომელიც გაჩაღდა დეკემბერ — არც ერთი ჭარხალი მინდორში! კარგად ორგანიზებული შრომის შედეგად მართლაც საგულდაგულოდ ამოიღეს ჭარხალი, გაწმინდეს და ჩაბარეს მიმღებ პუნქტს.

მოსავლის აღება პირველმა დაიწყო და პირველმავე დაამთავრა ცხინვალის რაიონის ერედვის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი გ. ხადური). მათ პირობა პირნათლად შეასრულეს. 151 ჰექტარ ფართობზე მოიყვანეს 6.200 ტონა შაქრის ჭარხალი. ასე რომ, ჰექტარზე საშუალოდ 411 ცენტნერი მოსავალი მიიღეს.

მეურნეობათა შორის შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში პირველ ადგილზე გამოიდა ცხინვალის რაიონის არეევის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი გ. ჯიოევი, მთავარი აგრონომი ნ. ტურაშვილი). აქ საშუალოდ ჰექტარზე 518 ცენტნერი მოიყვანეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 814 ტონა ჭარხალი.

როცა შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის ოსტატებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება მარჯვენა არ შევეკოთ ზნაურის რაიონის მუგუთის კოლმეურნეობის მშრომელებს. ამ პატარა კოლმეურნეობამ წელს იკისრა 42 ჰექტარი ნათესიდან ჰექტარზე საშუალოდ 400 ცენტნერი ჭარხალი მოეყვანა. აქ ჰყავთ გამოცდილი მეჭარხლეები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ს. ბესთაევი და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ბ. ბესთაევი. მათ წლების

მანძილზე ჰექტარზე 700-1000 ცენტნერი ჭარხალი მოპყავთ. ისინი სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ხალმოსული. ბ. ბესთაევმა ვალდებულება ორმაგად შეასრულა. [illegible] 1.100 ცენტნერი [illegible] გადააჭარბეს ლენინის [illegible] ბესთაევთა [illegible] ბის მეჭარხლეებმა, აგრეთვე ცხინვალის რაიონის ქემერტისა და დისევის კოლმეურნეობებმა.

მოპოვებულია ახალი შრომითი გამარჯვება — წარმოებულია და სახელმწიფოს მიეყიდა 15.106 ტონა შაქრის ჭარხალი. მიხი დამზადება გრძელდება.

უნდა ვეფსაყვედუროთ ცხინვალის რაიონის თამარაშენის მეერძვეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელებს (დირექტორი ფ. კოჩიევი, მთავარი აგრონომი ვ. ფუხაევი), რომლებმაც გადამწყვეტი ღონისძიებანი განახორციელეს და სიტყვა გატეხეს — ნაკისრი ვალდებულება, რომ სახელმწიფოსათვის მიეყიდათ 1.050 ტონა შაქრის ჭარხალი, სანახევროდაც ვერ შეასრულეს.

ოლქის მეჭარხლეების საიუბილეო წლის გამარჯვება იმის საწინდარია, რომ გაიხად ისინი კალენდარიოა, რომ გაიზარდოს მოსავლიანობა, ზეგიერთმა პროფკავშირულმა კომიტეტმა კრებების დროს საფუძველიანად ვერ გააანალიზა თავისი საქმიანობა, ღღეანდელ მოთხოვნათა შესაბამისად ვერ გადაწყვეტა წარმოების შემდგომ განვითარებასთან, შრომელთა შრომის პირობებისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხები.

მიღებულ დადგენილებაში საქართველოს პროფსაბჭომ დაავალა პროფკავშირთა საოლქო საბჭოებს, რესპუბლიკურ, ადგილობრივ კომიტეტებს ხელმძღვანელობა გაუძლიერონ საინგარიშო-საარჩევნო კრებებს და ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მათ მოსამზადებას, იმას, რომ გამაღონ კრიტიკა და თვითკრიტიკა, ზუსტად დაიცვან პროფკავშირული დემოკრატია.

ანგარიშგება-არჩევნების დროს, აღნიშნულია დადგენილებაში, ფართო მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა უნდა გავშალოთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომის მასალების შესასწავლად. (საქინფორმი).

ეოცა დაგემმა ქრაქრეკლურია

ვალდებულება — ქალალდზე?

ჭიათურის საშენ მასალათა კომბინატმა მთლიანი პროდუქციის გამოშვების კარგა თვის დავალების 2,5 ათასი მანეთით გადააჭარბა. ეს ცუდი როდია. მაგრამ კომბინატის დირექტორის თ. ჩიკვაიძის კაბინეტში აგურის მოთხოვნაზე მშენებელთა ათეულობით დეპეშა როდესაც ვნახეთ, ეჭვიდი გახდა — საწარმოს გაუმართავი მუშაობა სამშენებლო ორგანიზაციებს სამუშაოთა განრიგის დაცვის ხელს უშლის.

საწარმოს ახალგაზრდა თავკაცი სამის სიყვარულით შრომობს, დიდი სურვილი აქვს აგურის გამოშვების გაფართოებული დავალება შეასრულოს, მაგრამ ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილი დანადგარები და პრიმიტიულად გამართული ხაზი მის სურვილს არ ემორჩილება.

კომბინატის საკალო ტექნიკური აღჭურვილობა საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროსათვის კარგად არის ცნობილი, მაგრამ შარშანდელ ფაქტურ დონესთან შედარებით წელს აგურის წარმოების დავალება თითქმის 3,5 მილიონი ცალით გაუდიდეს. ეს ზომ მხოლოდ თავის მოტყუებაა. საწარმოს კოლექტივმა და სამინისტრომაც კარგად იციან, რომ ამ დავალების შესრულება არ უწერია — განვლილ [illegible] თვეში სამშენებლო ხარაზოს უკვე დააკლეს მილიონ 700 ათასი ცალი აგური!

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია. მიუხედავად წინასწარ შეცნობილი გამოუცალი მდგომარეობისა, საწარმოს კოლექტივმა, პრინციპის მიხედვით — აქაო და სხვას არ ჩამოვრჩეთო — საიუბილეო წლისათვის მაინც გადიდებული ვალდებულება აიღო. ება ამის სხვა რა უნდა ვუწოდოთ, თუ არა ფორმალიზმი?

მოვმართოთ კონკრეტულ ფაქტებს: კომბინატის კოლექტივს ვალდებულებაში ნაწერილი აქვს, რომ ტექნოლოგიური რეჟიმის გაუმჯობესებითა, ხარისხის ამაღლებით „100“ მარკიანი აგურის ხარჯზე 7 მილიონი ცალით გაზრდილი „125“ მარკიანი აგურის გამოშვებას. მოხდა კი პირიქით. წელს განვლილ პერიოდში საწარმომ ვერ უზრუნველყო ვერცერთი მაღალი მარკის აგურის გეგმის შესრულება, რომ აღარაფერი ვთქვათ გალდებულებაზე. უფრო მეტიც.

გეგმით გაუთვალისწინებელი დაბალი ხარისხის „75“ მარკიანი აგურიც კი გაუგზავნეს მომხმარებელს.

ვალდებულებით გათვალისწინებული არც სხვა მეხლები სრულდება. სამეურნეო წლის განვლილ პერიოდში ვერ უზრუნველყვეს

მოვიდა ცხინვალის რაიონის არეევის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი გ. ჯიოევი, მთავარი აგრონომი ნ. ტურაშვილი). აქ საშუალოდ ჰექტარზე 518 ცენტნერი მოიყვანეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 814 ტონა ჭარხალი.

როცა შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის ოსტატებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება მარჯვენა არ შევეკოთ ზნაურის რაიონის მუგუთის კოლმეურნეობის მშრომელებს. ამ პატარა კოლმეურნეობამ წელს იკისრა 42 ჰექტარი ნათესიდან ჰექტარზე საშუალოდ 400 ცენტნერი ჭარხალი მოეყვანა. აქ ჰყავთ გამოცდილი მეჭარხლეები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ს. ბესთაევი და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ბ. ბესთაევი. მათ წლების

საქართველოს ეროფსაბჭოში

იზრდება მასების აქტიურობა

საქართველოს პროფსაბჭომ განიხილა რესპუბლიკის პროფკავშირულ ორგანიზაციებში ანგარიშგება-არჩევნების მიმდინარეობის საკითხი.

წლევანდელი საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დამახასიათებელი თვისებურება ის არის, ნათქვამია მიღებულ დადგენილებაში, რომ იგი მიმდინარეობს მშრომელთა უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ვითარებაში, რაც მოპყვა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის დღესასწაულს, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის — განვითარებული სოციალიზმის დიადი ქარტიის საყოველთაო-სახალხო განხილვასა და მიღებას.

ანგარიშგება-არჩევნები მიეწყო ყველა საამქრო კომიტეტსა და პროფკავშირულ ჯგუფში. კრებები და კონფერენციები უკვე მოაწყო 14 ათასზე მეტმა პროფკავშირულმა კომიტეტმა. შესაბამისად გაუმჯობესდა არჩეული პროფკავშირული ორგანოების შემადგენლობა. იქ, სადაც კრებებს წინ უსწრებს სერიოზული მოსამზადებელი შუშაობა, არჩევნები მიმდინარეობს ორგანიზებულად, მონაწილეთა დიდი აქტიურობით, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში, კრებებზე კომპეტენტურად აყენებენ საკითხებს, რომლებიც ეხება საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებას, მუშა-მოსამსახურეთა შრომის პირობების, დასვენებისა და საყოფაცხოვრებო

ბო მომსახურების გაუმჯობესებას.

საქართველოს პროფსაბჭომ ხაზი ერთოდ აღნიშნა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის მაღალი დონე და ამასთან განაცხადა, რომ ზოგიერთმა პროფკავშირულმა კომიტეტმა კრებების დროს საფუძველიანად ვერ გააანალიზა თავისი საქმიანობა, ღღეანდელ მოთხოვნათა შესაბამისად ვერ გადაწყვეტა წარმოების შემდგომ განვითარებასთან, შრომელთა შრომის პირობებისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხები.

მიღებულ დადგენილებაში საქართველოს პროფსაბჭომ დაავალა პროფკავშირთა საოლქო საბჭოებს, რესპუბლიკურ, ადგილობრივ კომიტეტებს ხელმძღვანელობა გაუძლიერონ საანგარიშო-საარჩევნო კრებებს და ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მათ მოსამზადებას, იმას, რომ გამაღონ კრიტიკა და თვითკრიტიკა, ზუსტად დაიცვან პროფკავშირული დემოკრატია.

ანგარიშგება-არჩევნების დროს, აღნიშნულია დადგენილებაში, ფართო მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა უნდა გავშალოთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომის მასალების შესასწავლად. (საქინფორმი).

ოდესღაც ეს მიწები უნაყოფო და მივარდნილი იყო. ადგილობრივმა გლეხებმა ვერა და ვერ მოახერხეს სახელი გამოეძებნათ თავიანთი სოფლისათვის და მას სახელად „უსახელო“ შერჩა.

ახლა აქ „ჭითურმანგანუმის“ სამთამადნო კომბინატის საბჭოთა მეურნეობის მერძევეობა-მებოსტნეობის სავარგულები გადაშლილა.

მარტო წელს მეურნეობის მშრომელებმა აწარმოეს 800 ტონა ბოსტნეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 300 ტონისა, დავალების გადამეტებით გაიყიდა 600 ცენტნერი რძე, ბევრი ხორცი.

ამ დღეებში საბჭოთა მეურნეობაში სწარფი ტემპით მიმდინარეობს პირუტყვის საკვების დაგროვება.

სურათებზე: მოწინავე მწველავები (მარცხნიდან მარჯვნივ) ციალა წერეთელი, არიადნა ტაბატაძე და ახმაალ პაპიძე; არის საკმაო საკვები. (ქვემოთ).

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეპირულ საქმეთა მაჭიანე

**ს სიტყვები ყველაზე უფრო ნათ- ი უპასუხეს საქართველოს კომ- ტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე. ეს სიტყვები ბიუროს მეორე მდივნის, ბ. ბაშინდოვის ბ. ბ. ბ.

ტელეტაიპი გაჩდეოგვცეეს

მსოფლიოს ამბები

კომუნიზმის გზით

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სტატიამ „კომუნიზმის გზის ისტორიული ეტაპი", რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „პრობლემი მირა ი სოციალიზმში", ფართო საერთაშორისო გამოხმაურება პოვა. თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი, სხვადასხვა ქვეყნის პრესა აღნიშნავენ, რომ ლ. ი. ბრეჟნევმა თეორიულად ღრმად დასაბუთა დებულებანი განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შესახებ, მისი შემდგომი შემოქმედებითი წვლილი მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სტატია, ხაზს უსვამს ჩეხოსლოვაკიის გაზეთი „ურუდ პრავო", მკაფიოდ ადასტურებს, რომ საბჭოთა კავშირმა ააშენა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება, განახორციელა ლენინის გენიალური იდეები, მოახდინა უდიდესი გარდაქმნები საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში. იგი გვიჩვენებს სოციალისტური დემოკრატიის პოლიტიკური განვითარების, სრულყოფისა და გაღრმავების მთავარ მიმართულებებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, აღნიშნავს ბულგარული გაზეთი „ოტეჩესტვენ ფრონტი", ღრმად გააანალიზა და მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან შეაფასა ის მოვლენები, რომელთა მეოხებით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავი სამუდამოდ შევა ისტორიაში. მან გვიჩვენა შემდგომი კომუნისტური მშენებლობის ნათელი პერსპექტივები. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მის მიერ ჩამოტანილ თეორიულ დასკვნას, რომ განვითარებული სოციალიზმის საზოგადოება — ეს არის განვითარებული სოციალისტური დემოკრატიის საზოგადოება.

ბელგიის გაზეთი „ლიბრ ბელჟიკი" აღნიშნავს: საბჭოთა ხელმძღვანელის სტატია საინტერესოა იმით, რომ მასში დასახულია კომუნიზმის მშენებლობის გზები სსრ კავშირში, სადაც უკვე შექმნილია განვითარებული სოციალისტური საზოგადოება. ამ თვალსაზრისით, წერს შემდეგ გაზეთი, სტატიას აქვს უდიდესი თეორიული მნიშვნელობა, და ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მისდამი ყველგან გადიდებულ ინტერესს იჩენენ.

უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტი უწოდა ლ. ი. ბრეჟნევის სტატიას ვენსუელის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ხესუს შარმანმ. ეს სტატია, განაცხადა მან, მოწმობს ახალი ტიპის გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის შემდგომ განვითარებას. იგი შემოქმედებითად განაზოგადებს ქვეყანაში ახალი საზოგადოების მშენებლობის პრაქტიკას, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებს მთელი კაცობრიობის მშვიდობისა და პროგრესისათვის ბრძოლაში.

ვენესუელის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა შემდეგ აღნიშნა, რომ ლ. ი. ბრეჟნევმა ლასვარი ჩასცა კომუნიზმის მტრებს, საკიდრისი პასუხი გასცა იმპერიალიზმის ბანაკის ცილისმწამებლებსა და ეგრეთწოდებული „დასავლეთის დემოკრატიის" მომხრეებს, რომლებიც ცდილობენ ცილი დასწამონ პლანეტის პირველ ქვეყანას, სადაც თითოეულ მოქალაქეს აქვს შრომის, დასვენების, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის, სიბერეში მატერიალური უზრუნველყოფის უფლება, ქვეყანას, სადაც ხალხმწიფოს მთელი ხალხი მართავს.

ლ. ი. ბრეჟნევის ფაქტებით აღსავსე, მეცნიერულად დასაბუთებულ სტატიას „კომუნიზმის გზის ისტორიული მიჯნა" მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიასა და პრაქტიკაში, სოციალისტური საზოგადოების განვითარების გზების შესახებ მოძღვრებაში, ვანაცხადა პანამის სახალხო პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა მიგელ პრესელმა.

ლ. ი. ბრეჟნევმა, ხაზი გაუსვა მან, ჩამოაყალიბა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიზნები და ამოცანები. კაპიტალისტური საზოგადოების ძირითადი კანონისაგან ამ კონსტიტუციის ერთ-ერთი პრინციპული განსხვავება ის არის, რომ საბჭოთა სახელმწიფო არა მარტო აცხადებს ხალხის სოციალურ-პოლიტიკურ უფლებებს, არამედ პრაქტიკულად უზრუნველყოფს მათ.

საბჭოთა საზოგადოების დინამიკური განვითარება, რომელიც დამჯერებლად ასახა ლ. ი. ბრეჟნევმა, თქვა შემდეგ მ. პორსელმა, მოწმობს სოციალისტური წყობილების უპირატესობას, გეზს აძლევს განვითარებად ქვეყნებს, რომლებიც იბრძვიან ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის.

ლ. ი. ბრეჟნევის სტატია, აღნიშნა დანიის კომპარტიის აღმასკომის წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჰ. ემანუელმა, ბრწყინვალედ ასახავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მტკიცე გადაწყვეტილებას კვლავაც განუხრელად განახორციელოს აქტიური მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა, დანიელი კომუნისტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ იმას, რომ ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა კომუნისტურ და მუშათა პარტიებს შორის უფრო მჭიდრო ურთიერთმოქმედების აუცილებლობა. ამას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშათა კლასის პრაქტიკული საქმიანობისათვის.

ლ. ი. ბრეჟნევი სრულიად მართებულად ამბობს, რომ წლევანდელი წელი განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს საბჭოთა კავშირის ისტორიაში, განაცხადა საფრანგეთის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატმა გენერალმა პ. პეი�და.

როგორც ძველი ჯარისკაცი, თქვა შემდეგ „ნორმანდია-ნიმანის" ავიაპოლკის ყოფილმა მეთაურმა, ქედს ვიხრი საბჭოთა კავშირის ხალხის იმ მისწრაფების წინაშე, რომ იცხოვროს მშვიდობიანად და მტკიცე მშვიდობა მოუპოვოს ყველა ხალხს. ამიტომ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები, რომ ახალ საბჭოთა კონსტიტუციას სსრ კავშირის სახელმწიფო კანონის რანგში აჰყავს ის, რაც სოციალისტური სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის თვით არსს, შედგენს — მისი ზრუნვა მშვიდობისათვის, განსაკუთრებით ესალბუნება ჩემს გულს.

(საკდესი, 25 ნოემბერი).

გაკმოხმაურება

ესეც შენი „თავისუფალი სამყარო"

იაპონია

მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების სისტემის გაუმჯობესება მოითხოვეს მჯდომარე დემონსტრაციის მონაწილეებმა, ტოკიოში ჯანდაცვის და სოციაზრუნველყოფის სამინისტროს შენობის წინ რომ გაიმართა. ასობით ექიმმა, ექთანმა და სხვა მუშაკებმა დაგმეს ხელისუფალთა პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო და მუნიციპალურ საავადმყოფოებში, კლინიკებსა და გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში სამედიცინო პერსონალის შემცირებას.

სურათზე (ზემოთ): მჯდომარე დემონსტრაციის მონაწილენი.

საკდესის ტელეფოტო.

იტალია

ვითარება იტალიის ქალაქ სევეზოში კვლავ ტრაგიკულია, თუმცა აქ მომხდარი კატასტროფის შემდეგ თითქმის წელიწად-ნახევარი გავიდა. შარშან ივლისში ქიმიურ ქარხანა „იკმეზაში" აფეთქების შედეგად გაეონა შხამიანმა გაზმა.

სევეზოში მომხდარი ტრაგედია კიდევ რამდენიმე წლის მანძილზე იჩენს თავს, ვინაიდან ზოგიერთ დაავადებას ფარული ხასიათი აქვს.

სურათზე (ქვემოთ), რომელიც ამოღებულია უურნალ „შპერნიდან", თქვენ ხედავთ დიოქსინით მოწამვლის შედეგად დაავადებულ ბავშვებს.

ამ ერთ კვირაში

საგერძნეთი: ძალების ახალი განლაგება

საბერძნეთის ხელისუფალნი პარლამენტის ვადამდელ არჩევნებს 20 ნოემბერს დანიშვნის ოფიციალურ მიზეზად იმ უამრავ პრობლემას ასახელებდნენ, რომლებიც გაისად უნდა გადაწყვიტოს საბერძნეთმა. ამ მიზეზის ნამდვილი ახსნა კი ის გახლავთ, რომ როგორც უკანასკნელ ხანს გამოირკვა, მთავრობამ ვერ შეძლო მოეგვარებინა როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის ბევრი რთული საკითხი, ხოლო რაც შეეხება უართო მასებს, მათ შესამჩნევად გაადიდეს მთავრობის კურსის საწინააღმდეგო მოქმედება.

ბერძენი ხალხის სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევს ფასების სწრაფი ზრდა და ინფლაცია, მზრუნველთა მდგომარეობის საერთო გაუარესება, ნეოფაშისტური ელემენტების გააქტიურება, რეჟიმის ანტიკომუნისტმა. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ პარლამენტის არჩევნების შედეგების თანახმად, ბერძენი ამომრჩევლები ახლა სულ უფრო მეტი სიმპათიით ეკიდებიან მემარცხენე ძალებს, რომლებიც კონკრეტულ, გააზრებულ დონისძიებებს სთხოვენ ძირითადი ეროვნული პრობლემების გადასაწყვეტად. მემარცხენეებმა საერთოდ 20 ნოემბერს ხმების 35 პროცენტზე მეტი მიიღეს, რაც ამ ქვეყანაში დიდ მიღწევას წარმოადგენს.

წამყვანი ოპოზიციური პარტია — სოციალიდ საბერძნეთის სოციალისტური მოძრაობა, რომელსაც ა. პაპანდრეუ მეთაურობს, არჩევნებზე მოითხოვდა საბერძნეთის მთლიანად გამოსვლას ნატოდან, გამოდიოდა იმის წინააღმდეგ, რომ ქვეყანა შეუერთდეს „საერთო ბაზარს", მოითხოვდა უცხოეთის ბაზების ლიკვიდაციას საბერძნეთის ტერიტორიაზე. საბანკო საქმისა და მძიმე მრეწველობის ნაციონალიზაციას. ამის შედეგად 13,5-დან 25 პროცენტამდე გაიზარდა იმ ამომრჩეველთა რიცხვი, რომლებმაც ამ პარტიას მისცეს ხმა, მისი დეპუტატების რიცხვი კი ერთპალატიან პარლამენტში 15-დან 91-მდე გაიზარდა.

უბრალო ბერძნების ესმით და ძნარს უჭერენ საბერძნეთის კომპარტიის ინიციატივას, რომელიც ითვალისწინებს ეროვნული ინტერესებისათვის და მოუწოდებს შეწყვეტონ გამალებული შეიარაღება, უფრო ფართოდ განავითარონ ათენის კეთილმეზობლური ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან, მტკიცედ იბრძვის ნატოსა და საერთო ბაზარში საბერძნეთის ყოფელგვარი მონაწილეობის წინააღმდეგ. ბერძენ კომუნისტთა კანდიდატებმა ამომრჩეველთა ხმების 9 პროცენტი მიიღეს და ერთიანად და მეტად გაზარდეს თავიანთი ადგილების რიცხვი პარლამენტში.

მიმმხილველთა აზრით, არჩევნების ერთ-ერთი მთავარი შედეგი ის გახლავთ, რომ პრემიერ-მინისტრის კ. კარამანლისის მართველმა პარტიამ — „ახალმა დემოკრატიამ" არსებითად დაკარგა პოზიციები: მან 1974 წლის არჩევნებთან შედარებით ხმების 12 პროცენტზე მეტი დაკარგა. როგორც გაზეთმა „ლუმანიტემ" აღნიშნა, ბერძენმა ხალხმა კენჭისცემა „დაგმო კარამანლისის ავტორიტარული პოლიტიკა და თავისი შეშფოთება და იმედგაცრუება გამოხატა მის მიმართ". თუმცა კარამანლისის პარტიამ შეინარჩუნა ძალაუფლება — მან ხმების 42 პროცენტი მიიღო, მაგრამ პარლამენტში 40-ზე მეტი სავარძლის დაკარგვა იმას ნიშნავს, რომ სულ უფრო კლებულობს „ახალი დემოკრატიის" გავლენა.

არჩევნების შედეგად საბერძნეთში პოლიტიკური ძალების ახალი განლაგება, საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს აზრით, უფრო ფართო შესაძლებლობებს უქმნის ბერძენი ხალხის ანტიიმპერიალისტური მოძრაობის შემდგომ გაძლიერებას. პროგრესული ძალების უფრო მჭიდრო თანამშრომლობის დამყარებას დამოუკიდებელი და დემოკრატიული საბერძნეთისათვის ბრძოლაში.

მოკლედ

ყოველი მსრიდან

იურისტთა პროტესტი

● **ბერლინი.** ურუგვაიში ადამიანის უფლებათა დარღვევის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იურისტთა ასოციაციამ. აქ გავრცელებულ განცხადებაში დიდი შეშფოთებაა გამოთქმული ამ ქვეყანაში მასობრივი დაპატიმრების გამო, რომლის მსხვერპლი გახდნენ ცნობილი იურისტები, უნივერსიტეტების მასწავლებლები, სხვა დემოკრატები. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იურისტთა ასოციაციამ მოითხოვა ურუგვაის ყველა პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლება, დემოკრატთა წინააღმდეგ ტერორისა და რეპრესიების შეწყვეტა.

მიწა — გლეხებს

● **რაბათი.** მაროკოს კიდევ ორ პროვინციაში — მარაკეშსა და კალაათ სერაგნაში დაიწყო გლეხთა შორის 2.200 ჰექტარი მიწის განაწილება. ფელაჰები, რომლებიც მიწის ნაკვეთს მიიღებენ, გაერთიანდებიან რვა საწარმოო -გასასაღებელ სახოფლო-სამეურნეო კოოპერატივში.

გააძევეს ქვეყნიდან

● **ბრაზილია.** ბრაზილიის საზოგადოებრიობამ მოიწონა ბრაზილიის მთავრობის გადაწყვეტილება გააძევოს ქვეყნიდან „ლინგვისტიკის ინსტიტუტის" პერსონალი, რომელიც ცნობილია ამერიკის შეერთებული შტატების სადაზვერვო სამსახურებთან თავისი ურთიერთობით.

ფაშისტების თანამზრახველი

● **ბონი.** დასავლეთგერმანელი „ულტრების" ლიდერი ბავარიის ქრისტიანულ-სოციალური კავშირის თავმჯდომარე შტრაუსი დაბრუნდა ჩილედან, სადაც ხვდებოდა რეჟიმის მოთავეს პინოჩეტსა და ფაშისტური ხუნტის სხვა წარმომადგენლებს.

ვიზიტის დროს გამოსვლისას შტრაუსმა აშკარად დაიცვა სამხედრო-ფაშისტური რეჟიმი, როცა განაცხადა, რომ „აბსურდი იქნებოდა ხუნტა ადამიანის უფლებათა დარღვევაში დაგვედანაშაულებინა". მან მოითხოვა „უფრო მჭიდრო" ეკონომიკური თანამშრომლობა დამყარდეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ჩილეს შორის.

საბჭოთა დელეგაციის ჩამოსვლა

ლოს-ანჯელოსი, 26 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). რესპუბლიკებისა და ოლქების საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ხ. სოლომენცევი, და რომელიც ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთის უდიდეს ქალაქ ლოს-ანჯელოსში, ეწვია საბჭოთა ეროვნულ გამოფენას. დელეგაციის წევრები დაწერილებით გაეცნენ გამოფენის მუშაობას, დათვალიერეს მისი პავილიონები და ექსპოზიციები, მ. ს. სოლომენცევმა ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა ეროვნულ გამოფენას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საბჭოთა და ამერიკელი ხალხების ურთიერთობების განვითარებისა და განმტკიცების საქმეში.

ამერიკელები კვლავ შეუნელებელ ინტერესს იჩენენ გამოფენისადმი. გამოფენის მუშაობის დაწყების დღიდან აქ უკვე იყო 220 ათასზე მეტი დამთვალიერებელი.

სესია გაიხსნა

ევროკის უშიშროების აქტუალური პრობლემები

ბრიუსელი, 25 ნოემბერი. (საკდესი). აქ გაიხსნა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო კომიტეტის სესია. იგი განიხილავს ევროპის საზოგადოებრიობის აქტუალურ ამოცანებს იმ პრინციპების განხორციელებისათვის ბრძოლაში, რომლებიც ჩამოყალიბებულია ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საბრძოლო აქტში, აგრეთვე დაძაბულობის შენელების გაღრმავების ამოცანებს.

კერძოდ, ნავარაუდევია განიხილონ საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ბელგრადის შეხვედრასთან, განიარაღებასთან, მასობრივი მოსპობის იარაღის ახალ ნაირსახეობათა, მათ შორის ნეიტრონული ბომბისა და „ფრთოსანი" რაკეტების გაჩენის საფრთხესთან.

სესიის მუშაობაში მონაწილეობენ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობისათვის მებრძოლი 23 ეროვნული კომიტეტის დელეგაციები, მათ შორის საბჭოთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საბჭოთა კავშირის ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. ბ. შიტიკოვი.

ახალი ლექსები

გელა ანმაკულიანი

სიზმარეული საქართველოზე

სიხარულო, საქართველოვ,
სიზმრად გხედავ მშვენიერს!
რასაც ცხადში წამართმევენ —
შენ მიბრუნებ შენმიერს.

მზე რომ რიჟრაჟს გადმიფურცლავს,
უბინდოს თუ ბინდიანს —
ბაგეებზე შენი ყურძნის
სურნელება მინთია.

მკურნავ ვნებადაუცხრომელს,
დარდიც ნიავს გავანდე,
ეეახლები სვეტიცხოველს
და კელაპტარს ავანთებ.

აქ, მცხეთაში, მცირე კენჭსაც
ვუძღვნი ქება-დიდებას...
ღმერთო ჩემო, ოღონდ შემრჩეს
მე ის ავლადიდება!

ნურასდროს ნუ ამარიდებ
ამ სიხარულს წამიერს,
დე, ეს განცდა სამარემდე
გამყვეს მრავალჟამიერ!

დე, მაღირსონ განკაცებულთ
ხვედრი უნეტარესი —
ჩემი ქვეყნის სიმკაცრე და
საქართველოს ალერსი!

თარგმანი **გია მარგველაშვილისა.**

ოთარ შალამბერიძე

ბარიკადები, ბარიკადები...

ოცნებით ცხრა ზღვად გადამილახავს,
ერთს კი ვერასდროს დავიჭიდავ, —
არც მოვსწრებივარ და არც მინახავს
ის სისხლიანი ბარიკადები!

არ მოვსწრებივარ... მაგრამ მათ ხსოვნას
ფიროზად ავიტანთ, ხალხის ნათელ სვეს,
ვინაც სიცოცხლე გადაეწირა
იმ სამართლიან ბარიკადებზე!

წარსული დარჩა გადარაზული,
მისი ვერავინ ნახოს იერიც;
ხოლო დღეისდღე, ახალგაზრდული,
ჩემს შთაგონებას აღონიერებს.

შორი დღეები მეხატებიან,
(გულისთქმავ, შენ ნუ გამიკარდები!)
ეს ბრძოლები და ეს ქარხნებია
ეპოქის მძლავრი ბარიკადები!

ღამე ღამეა, მაინც ვადიდებ
და ჩაკვეთს სიბნელეს ცეცხლის რეკლამა:
ვერ დაუმალონ კაცს სინამდვილე,
ვერ დაუკაზროს სული ეკალმა!

ნუმც მოგვსწრებია მართალ ბინადართ,
მტერს თავხედობა ეყოს იქამდე —
ხელი შეახოს ადამიანთა
ხელუხლებლობის მძლავრ ბარიკადებს!..

ჩემს სიმშვიდეს რომ შემსჭვალებია,
როგორც იმედი გულში ნადები,
ეს ატეხილი ტყე-ჭალებია
ჩემი სამშობლოს ბარიკადები!

სიმღერაც ისე მომჭარბებია,
ანაუად წელში გავიმართები;
ეს ჭერმაღალი ოჯახებია
მომავლის მტკიცე ბარიკადები!

ხალხი ბეკვიანი განგებიანი,
უფრო მზიანი ხვალის თავდები;
ბაკმებიანი აკვნები არი
ჩემი სამშობლოს ბარიკადები!

ჯანსა და ჯავრს რომ უჭიდებიან
და არავინ მყავთ ზღვარის გამდები,
ოღთრი მთებია, ლურჯი მთებია
ჩემი ოცნების ბარიკადები.

მზად არის გული — დაძრას ზვავები,
სიჩუმეს სწორედ არ ვიკადრებდი!
დგანან ალვების ქარსაცავები —
დიდი სიცოცხლის ბარიკადები.

მამულო, ავთვალს არ ენახვები,
ათასჯერ გნახო, — გამიხარდები!
ეს ბედლებია და ვინახავ
ყველაზე ნადიდ ბარიკადებ!

ხასხასებს ჩაი, ისე მალალი,
რომ ჩაუარო, ჩაიკარგები;
აი, ეს გახლავთ ჩვენი, ახალი
ეპოქის მწვანე ბარიკადები!

წელი სამოცი დგახ ხაოცნებო
და მზე გადასდის ზვრებს და ნათესებს,
ბარიკადებზე! — ძმებო, მგოსნებო,
გმირული შრომის ბარიკადებზე!

ეღიშე ჩარენცი ხსოვნის გამო

შესრულდა პოეტ-რევოლუციონერის ეღიშე ჩარენცის დაბადების მე-80 წლისთავი. მის ხსოვნას მიეძღვნა სალამოები, რომლებიც გაიმართა ს. შაუმიანის სახელობის სახელმწიფო სომხური თეატრში. აქ შეიკრიბნენ მისი ნიჭის მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლები. გაისმა კომუნისტი პოეტის უკვდავი სტრიქონები. ამ საღამოების წამყვანებმა საქართველოსა და სომხეთის სსრ სახალხო არტისტებმა დ. ამირბეკიანმა და შ. შეკოიანმა წაიკითხეს ჩარენცის ლექსები, მისი უკვდავი ლენინიანა.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ი. ნონეშვილმა თავის გამოსვლაში თქვა, თუ რა როლი შეასრულა ეღიშე ჩარენცმა სომხური და მთელი საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში, ილაპარაკა პოეტის შემოქმედების შესახებ, რომელიც დღესაც ერთგულად „ემსახურება ხალხის კომუნისტური აღზრდის საკითხებს. ჩარენცის ლექსთა თავისუფალი თარგმანები შეკრებილთ პოეტმა მ. ფანდალიმ.

საღამოებში მონაწილეობენ სომხეთის სცენის ცნობილი ოსტატები — ერეკნის გ. სუნდუკიანის სახელობის აკადემიური თეატრის მსახიობი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ბ. ნერსისიანი, სომხეთის ალმონიის სოლისტი ა. ბაბაიანი, პიანისტი ჯ. სვასიანი, ლენინის სომხური თეატრის მსახიობები, საქართველოს რადიოს ტორები დ. სოკოლოვი და ელბაქიძე. (ბაქინფორმი).

საბჭოთა დელეგაციის მიმოხილვა



სურით „დაგმო კარამანლისის ავტორიტარული პოლიტიკა და თავისი შეშფოთება და იმედგაცრუება გამოხატა მის მიმართ", თუმცა კარამანლისის პარტიამ შეინარჩუნა ძალაუფლება — მან ხმების 42 პროცენტი მიიღო, მაგრამ პარლამენტში 40-ზე მეტი სავარძლის დაკარგვა იმას ნიშნავს, რომ სულ უფრო კლებულობს „ახალი დემოკრატიის" გავლენა.

არჩევნების შედეგად საბერძნეთში პოლიტიკური ძალების ახალი განლაგება, საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს აზრით, უფრო ფართო შესაძლებლობებს უქმნის ბერძენი ხალხის ანტიიმპერიალისტური მოძრაობის შემდგომ გაძლიერებას. პროგრესული ძალების უფრო მჭიდრო თანამშრომლობის დამყარებას დამოუკიდებელი და დემოკრატიული საბერძნეთისათვის ბრძოლაში.

პორტუგალია: დაძაბული ვითარება

პორტუგალიის საშინაო-პოლიტიკური მდგომარეობა სულ უფრო რთული და დაძაბული ხდება. ამას ადასტურებს, კერძოდ, თავისებური ულტიმატუმი, რომლითაც რესუბლიკის კრებაში (პარლამენტში) გამოვიდა ამ დღეებში პრემიერ-მინისტრი მარიუ სოარეში. როგორც მან განაცხადა, თუ ნოემბრის დამლევამდე ვერ მიაღწიეს შეთანხმებას ოპოზიციურ პარტიებთან ერთობლივი ეკონომიკური და სოციალური პროგრამების თაობაზე, მთავრობა დასვამს ნდობის საკითხს.

ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში დაძაბულობის მთავარი მიზეზი ეკონომიკის მდგომარეობის გამწვავება გახლავთ. ეი ამის დამახასიათებელი რამდენიმე მონაცემი. ინფლაციის დონემ (რომელიც ყველაზე მაღალია ევროპაში) გადააჭარბა ზღვარს — 30 პროცენტს წელიწადში. სამი მილიონი თვითმფრინავი ხალხმოსახლეობიდან 500 ათასზე მეტ კაცს არა აქვს სამუშაო, სამრეწველო წარმოება განუხრელად კლებულობს (პორტუგალიის მოხმარება ამჟამად 70 მილიარდი ესკუდოთი აღემატება წარმოებას).

სად არის გამოსავალი? ამ კითხვას ქვეყნის მემარჯვენე და მემარცხენე ძალები სულ სხვადასხვა პასუხს აძლევენ. რეაქცია ითხოვს მ. სოარეშის მთავრობას კვლავაც დაუთმოს მსხვილ კაპიტალსა და მემამულეებს. რეაქციის ზეგავლენით მთავრობამ უკვე მიიღებინა პარლამენტს ახალი კანონი აგრარული რეფორმის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს მსხვილი ლატიფუნდისტებისათვის იმ მიწების ნაწილის დაბრუნებას, რომლებიც 1974 წლის აპრილის რევოლუციის შემდეგ გლეხთა კოოპერატივებს გადაეცათ. ესპანაციონალიზებული საწარმოებისადმი მუშათა კონტროლი. უფრო მეტიც, ახლა რეაქცია ნაციონალიზაციის სრულ გაუქმებასაც მოითხოვს, როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში, ყველა პროგრესულ გარდაქმნაზე უარის თქმას და ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტას ხალხის მასების ცხოვრების დონის ხარჯზე.

დემოკრატიული ძალები, უწინარეს ყოვლისა პორტუგალიის კომპარტია, აგრეთვე პორტუგალიის სოციალისტურ პარტიაში არსებული მემარცხენე ფრთა გადამწყვეტ წინააღმდეგობას უწევენ ასეთ ტრასს. იცავენ რა ხალხის რევოლუციურ მონაპოვრებს, პორტუგალიელი კომუნისტები დადებითად მოეკიდნენ მ. სოარეშის წინადადებას ერთობლივი ეკონომიკური და სოციალური პროგრამის თაობაზე მოლაპარაკების მოწყობის შესახებ. მემარცხენე პარტიები კი — სოციალ-დემოკრატიული და სოციალ-დემოკრატიული ცენტრი — უარს ამბობენ ყოველგვარ მოლაპარაკებაზე, რომელშიც კომუნისტები მიიღებენ მონაწილეობას. ისინი მ. სოარეშს ემუქრებიან, რომ თუ სოციალისტების მთავრობა არ დაუთმობს მემარჯვენეებს, ისინი იბრძოლებენ არა მარტო მთავრობის გადადგომისათვის, არამედ პრეზიდენტის შეცვლისთვისაც და პორტუგალიის ახალადგილი კონსტიტუციის გაუქმებისთვისაც, რომელიც დემოკრატიულ გარდაქმნებს ითვალისწინებს.

რეაქციონერთა მოქმედებას თან სდევს პროვოკაციული მანიფესტაციები ქვეყნის სხვადასხვა რაიონში, ტერორისტული აქტები. ასეთ პირობებში კომპარტია ყველა დემოკრატიის შეკავშირებისათვის იღწვის ორ ხაზს უსვამს, რომ მხოლოდ მემარცხენე ძალების მოქმედების ერთიანობა შეძლებს ხელი შეუშალოს იმისთ რევანშისტულ გეგმებს, ვისაც პორტუგალიაში 1974 წლის რევოლუციამდე არსებული წესწყობილების აღდგენა სურს. (საკდესი).

მუზეუმის ახალი სიცოცხლე

ძველი თბილისის უბანში, ერეკლეს მოედანზე საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის ლაშაზი ჩუქურთმებით დამშვენებულ აივნიან სასახლეში საქართველოს სსრ თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმმა დაიდო ბინა.

საქართველოს სახელმწიფო თეატრალური მუზეუმი წლების მანძილზე ხელოვნების მუზეუმთან არსებობდა. და აი ქართული თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმისათვის გამოიყო ცალკე შენობა, რომელსაც სათანადო რეკონსტრუქციაც გაუკეთდა, არქიტექტორ გ. ჯაფარიძეს გამოვნებით, მხატვრულად გაუფორმებია მუზეუმის გარე და შიდა ხედები.

ქართული თეატრისა და კინოს ბევრი წარმომადგენელი, ხელოვნების მრავალი თაყვანისმცემელი შეიკრიბა აქ გახსნის დღეს. მუზეუმის გახსნა სტუმრად მიეწოდაცეს ქართული ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწემ, მუზეუმის დირექტორმა გ. ბუნნიკაშვილმა და საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ ნ. გურაბანიძემ.

პირველი ექსპოზიციის თემაა „ოქტომბრის რევოლუცია ქართულ თეატრალურ და კინოხელოვნებაში". დარბაზებში გამოფენილია ქართული თეატრისა და კინოს დოკუმენტური მასალები, ფოტოები, აფიშები, პროგრამები, ესკიზები, დეკორაციები. აქ ნახავთ ძველ ფოტოსურათებს, რომლებზეც ასახულია რუსთაველის სახელობის თეატრის დაუვიწყარი სპექტაკლების სცენები. ეს გახლავთ ს. შანშიაშვილისა და ს. ახმეტელის სპექტაკლი „ანზორი", ბ. ლავრენიევის „რღვევა", კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლი „ესკადრის დალუპვა", მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის სპექტაკლი „კიკვიძე", ბ. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი „კრემლის კურანტები" და სხვ. აქვეა წარმოდგენილი ჩვენი რესპუბლიკის ქალაქების — ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, თელავის თეატრების ცხოვრების ამსახველი ლიტერატურა.

ქართული კინოს წარსულ დღეებს გვახსენებს დარბაზის მაყურო კუთხეში გამოფენილი კინომასალები. აქ არის ძველი, 1938 წლის გაზეთ „კომუნისტის" გაყვითლებული ფურცელი, რომელიც იუწყებოდა: „ჩვენ მივიღეთ აგრეთვე ცნობა, რომ 7 ნოემბერს მოსკოვის წითელ მოედანზე შესრულებული იქნება ქართველი კომპოზიტორის ი. გოკიელის მარში, რომელიც სპეციალურად ფილმ „დიადი განთიადისათვის" არის დაწერილი".

ქართული კინოს მამამთავრის მ. ჭიაურელის სწორედ ამ ფილმის დოკუმენტურ ფოტოებს და სხვა საინტერესო მასალებს გაეცნობა აქ დამთვალიერებელი.

საქართველოს სსრ თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმის კარი ღიაა, იგი ელის ხელოვნების მოყვარულთა.

ლ. ჭინქლაძე.

* * *

სურათზე: მუზეუმის ერთ-ერთი კუთხე.

გ. გოგოხიას ფოტო.

თეატრების საშემოდგომო დებიუტი

18 ნოემბრიდან 7 დეკემბრამდე საქართველოს დედაქალაქში წყობა რესპუბლიკის თეატრების დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი სპექტაკლების დათვალიერება. მასში მონაწილეობას მიიღებს 18 შემოქმედებითი კოლექტივი.

ამ დეკადის აფიშაში გამოცხადებულია საბჭოთა ხალხის ისტორიულ-რევოლუციური წარსულისადმი. ჩვენი შრომითი დღეების ეპიკისადმი, მისი შემოქმედების ჩვენი თანამედროვისადმი მიძღვნილი სპექტაკლები.

ეპიზოდიო ჩვენება გაიმართება თეატრალისა და მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრებიდან. აგრეთვე ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრისა და ა. ხორავის თეატრისა. ეს ა. ხორავის სახელობის მსახიობის სახლის ეგიდაზე.

დეკადის ხსნის სოხუმის ს. ჭანბისელის ფრამატული თეატრი. ქართველის სახელობის ... ის სცენაზე აფხაზური დაარმოადგენს ვ. ვიშნევსკის „ოპტიმისტურ ტრაგედიას", ხოლ ქართული დასი — სპექტაკლ „ამბის" ლ. ქიაჩელის მოთხ... ს მიხედვით.

ოპერეტის პიესას („ექვსი ...ი") წარმოადგენს ქუთაისი. მენსშიშვილის სახელობის ... ი. მაყურებლები გაეცნობი... ეთვე ამ კოლექტივის ნამუ... ს — ვ. იაკაშვილის სპექ... „ჰორიზონტს იქით".

ბოთა ხელოვნების წმიდათა... თემა — დიდი სამამულო ... წლებში საბჭოთა ხალხის ...ითო გმირობა აისახა თეა... ს რამდენიმე ნაშრომში.

ესენია: ა. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდია", რომელიც დადგა გორის თეატრმა, რ. თაბუკაშვილის „დაბადება", რომლის პრემიერა... ა, აჩვენებს რუსთაველ თეატრი, ი. გარეჯაველ და პ. ხოტიანოველ... ის „ჩვენი მეფე", რომლითაც ... ეთვალიერებაში მონაწილეობას მიიღებს მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრი.

თავის ერთ-ერთ უკანასკნელ ნამუშევარს — ლ. გაბრიელოვიჩის „შენ თანამედროვეს" წარმოადგენს რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრი.

თავიანთ საუკეთესო სპექტაკლებს უჩვენებენ ამ დღეებში სხვა თეატრებიც: ა. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრი, ს. შაუმიანის სახელობის სომხური დრამის თეატრი, მოზარდ მაყურებელთა ქართული და რუსული თეატრები, მუსიკალური კომედიის თეატრი, რესპუბლიკის ყველაზე ახალგაზრდა თეატრალური კოლექტივი — მეტეხის ახალგაზრდული თეატრი-სტუდია, მინიატურების თეატრი.

დათვალიერების დამთავრების დღეს 7 დეკემბერს ა. ხორავის სახელობის მსახიობის სახლში გაიმართება დეკადის აფიშაში გამოცხადებული სპექტაკლების განხილვა.

საუკეთესო სპექტაკლებისათვის, საუკეთესო რეჟისურისა და საუკეთესო აქტიორული ნამუშევრისათვის დაწესებულია "რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსა და თეატრალური საზოგადოების დიპლომები, პრიზები და პრემიები.

(საქინფორმი).

ალერია — საჩუქრად

ხელვი. (საკ. კორ). შუახეთის ... ში იმ დღეს ნამდვილი დღე... ლი იყო. სარაიონო კულ... სასახლეში საზეიმო ვითა... გიხსნა სამხატვრო გალ... ახვითი ხელოვნების ნაწარ... ი რაიონის მშრომელებს ასსრ კულტურის სამინი... ა და მხატვართა კავშირის განყოფილებისაგან საჩუქ... ადეცა.

ფენაზე წარმოდგენილია ... შეავრი. ყურადღებას იპ... შ. ხოლუაშვილის, მ. ბო... ა, გ. სეჩენიანის, შ. ზამთა... ნ. იაკოვენკოს, ხ. ინაიშვი... ართმელაძის, ო. ნიკარა... ხალვაშისა და სხვათა ნამუ... შევრები. მათში ასახულია აჯარის რევოლუციურ-საბრძოლო წარსული და დღევანდელობა.

ერენისაფზე სიტყვები წარმოთქვეს პარტიის შუახეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ცეცხლაძემ, აჯარის ასსრ კულტურის მინისტრმა ლ. ბოლქვაძემ, აჯარის ასსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ლ. შარაშიძემ და სხვ.

გალერეა გადაიქცევა მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის იდეურ-მხატვრული აღზრდის კერად. იგი პერიოდულად ახალი ნამუშევრებით გამდიდრდება.

მ. გოგოლაძე.

უსიკალური პრემიერა

ეებში დედაქალაქის მუსიკა... ზოგადოებრიობა გაეცნო სა... ის ფილარმონიის სოლისტე... ოგიბედაშვილის (ალტი) და ... შვილის (ფორტეპიანო) შე... ას. ახალგაზრდა მუსიკოსები... გამოვიდნენ ფილარმონიის მცირე დარბაზში, საღამოზე წარმოადგინეს სინტერესო პროგრამა. თითქმის ყველა ნაწარმოები პირველად შესრულდა. მუსიკალური კრიტიკის აზრით, დუეტი სინტეზიფით, შესრულების მაღალი ტექნიკით გამოირჩევა. (საქინფორმი).

ზღვის ნაპრძალი

საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ, ფოთი-ოჩამჩირის რაიონში დაიწყო რესპუბლიკის პირველი ზღვის ნაკრძალის შექმნა 70 ათას ჰექტარ ფართობზე. იგი თავისებური ბუნებრივი აკვარიუმი გახდება ასობით ნაირსახეობის თევზისათვის. მისი უმთავრესი დანიშნულება ფოთლ წეგნში შეტანილი ატლანტიკური თართოის დაცვა და მოშენება, მისი ბუნებრივი რესურსების აღდგენა.

რესპუბლიკაში დიდ მუშაობას ეწევიან თევზის მარგის აღდგენისათვის. საქართველოს ზოგიერთი მდინარე და ტბა ნაკრძალებად არის გამოცხადებული, მათ შორის პალოსტომის ტბაც, სადაც უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გაიზარდა ძვირფასი ჯიშის თევზის რაოდენობა. თევზის რესურსების შემდგომი გადიდების მიზნით რესპუბლიკაში დაიწყო მილიონობით ცალი ლიფსიტის საერთო სიმძლავრის სამი დიდი თევზსაშენის მშენებლობა.

ფელეტონი

ვითომ...

ხიტყვა „ვითომ" თავისთავად ყურს არ ხვდება, ყურს არ სჭირს, მაგრამ როცა „ვითომ საქმეს" ქმნის სიტყვებს მივაჭირით — ყურს კი არა, გულსაც ხვდება სიტყვას მოფარებული — ვითომ ნაღდი გენიოსი, ნიჭით მომადლებული. ვითომ თვალი კოლექტივის, ვითომ საქმის ერთგული, ვითომ სხვაზე მაფიქრალი, სხვაზე გადაგებული. ვითომ ქაცი კრისტალური, ვითომ შუბლი მაღალი, უხინჯო და უანგარო, ვითომ ქვეყნის ბადალი. ვითომ ოქრო აწონილი, ვითომ ქაცი — სანთელი, ვითომ ნაღდი პატრიოტი და უნაკლო ქართველი. ვითომ... თორემ კარგად ვხედავთ არის ჩენჩო, ფიტული, მარტო სიტყვა, მარტო პოზა. მარტო, მარტო ტიტული...

ზოგი თუ ვერ გაიხარებს ჩემი ლექსის სტუმრობით, როდი ვნაღვლობ... თვალს ჩავუკრავ ვითომ, ვითომ ხუმრობით.

ზაზა კაციაშვილი.

კინო

ეკრანის გმირი — ჩვენი თანამედროვე

„ქვიშანი დარჩებიან" — კინოსტუდია „ქართული ფილმის" ნაწარმოები

ახალი ქართული მხატვრული ფილმი „ქვიშანი დარჩებიან" ჩვენი თანამედროვეობის ამსახველი კინოსურათია (სცენარის ავტორები რ. ინანიშვილი, გ. შენგელაია, დამდგმელი რეჟისორი გ. შენგელაია, ოპერატორები ლ. მღებრიშვილი, ლ. მაჩაიძე, მხატვარი ვ. რურუა, კომპოზიტორი ვ. კუხიანიძე). ტრაგიკული დრამატურგიის თვალსაზრისით ეკრანზე ერთი შეხედვით თითქოს განსაკუთრებული არაფერი ხდება. ფილმის ფაბულა მარტივია: კახეთში ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობა მიმდინარეობს. ამ მშენებლობას ხელმძღვანელობს ახალგაზრდა ინჟინერი, ფილმის მთავარი გმირი ვაჟა გიორგაძე. მართალია, არ არსებობს შენება ნგრევის გარეშე, რაც ჩვენში ხშირად დიდ გულისტკივილს იწვევს, მართალია, შრომის თანამდროვე რიტმი დაკავშირებულია გარკვეულ სულიერ დანაკარგებთან, არხის მშენებლობა მაინც კეთილად მთავრდება...

აი სულ ეს არის ფილმის ძირითადი სიუჟეტური ხაზი. მასალა საკმაოდ „პროზაულია" და, თუ შეიძლება ასე ითქვას, არაფეტიტურიც, ვინაიდან აქ არც მძაფრი სიუჟეტია, არც განსაკუთრებულ ადამიანური პოზიციის და ესთეტიკური იდეალის ძირითადი გამოსახატველიც. ეს სახე ფილმში დასტურია იმ გარემოსთან მჭიდრო კავშირით, სადაც ის ცხოვრობს. ამიტომაც არის, რომ ფილმის ყველა მეორე თუ მესამეხარისხოვან პერსონაჟს დიდი ყურადღება ეთმობა, რის შედეგადაც კინოთხრობის ეკონომია, დამაჯერებელი და ძალზე საინტერესო ფონი იქმნება. ფილმის განვითარებასთან ერთად ეს ფონი თავისთავადი და დამოუკიდებელი მსატვრული სახის მნიშვნელობას იძენს — ეს არის სახე ხალხისა, რომელშიც პატიოსნებისა და სიბრძნის გვერდით თანაარსებობს სიზარმაცეც, შესაძლოა ზნედაცვეულობაც ან ვემჩანური სულისკვეთებაც... მაგრამ ავტორებს მიზნად არ დაუსახავთ მამხილებელი სურათის შექმნა, თანამედროვე ადამიანის ზნეობრივ ბიზიერვალთა გამოთრახება. მათი მსოფლშეგრძნება დრამატული სიმძაფრით და უარყოფის პათოსით არ არის აღნიშნული, თუმცა ის არც ზედაპირულად ოპტიმისტურია. ავტორების ინტონაცია დინჯია და ლირიზმით აღსავსე. აქ იგრძნობა სევდაც, მაგრამ განმსაზღვრელი მაინც ხდება რწმენა ადამიანის კეთილი და სიცოცხლისდამამკვიდრებელი საწყისისა.

დრამატურგი რეზო ინანიშვილი და რეჟისორი გიორგი შენგელაია შეეცადნენ დაფიქრებულიყვნენ ჩვენი სინამდვილისათვის დამახასიათებელ, მისთვის „ქტუალურ და ამავე დროს მარადიულ, ზოგადსაკაცობრიო საკითხებზე. კერძოდ, ისინი იმ აზრს ქადაგებენ, რომ ადამიანმა ყოველგვარი სიძნელეების მიუხედავად უნდა აკეთოს საქმე, საქმე კეთილი და საჭირო, უნდა აშენოს და ამ ქმნადობაში, ორომტრიალში არ დაკარგოს სხვა ადამიანებთან შინაგანი კონტაქტის, ურთიერთგაგების და თანაგრძნობის უნარი.

ავტორებს სწამთ, რომ ცხოვრების ასეთი პრინციპი ერთადერთი სწორი და კეთილშობილური პრინციპია, რამეთუ წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი კი დარჩებიან, დარჩებ ის, რაც ადამიანს ამქვეყნად კეთილი დაუთესია. ასეა ცხოვრობს ფილმის გმირი, ინჟინერი ვაჟა.

ვაჟას მშრომელი გლეხივით ხასხლოორეში აქეს გამჯდარი ხალხური ხიდინჯე, მრავალნაკადი საბრძნე, მან იცის, რომ საქმეს არ უშვილის არც ლოზუნგები, არც შიმშელი სიტყვები და არც, მით უფრო, ძალის პოზიცია. ვაჟა არ გაურბის შრომის სიმძიმეს, ტექნიკური თუ ორგანიზაციული სიძნელეების გადალახვას, მაგრამ მოთმინებით და თანაგრძნობით ხვდება წმინდა ადამიანური ხასიათის დაბრკოლებებს.

ასე, თანდათან უფრო მჭიდრო და საფუძვლიანი ხდება რაღაც უხილავი კავშირი ხალხსა და ვაჟას შორის. და ეს, მოკლი ფილმის მანძილზე სიტყვით გამოუთქმელი ურთიერთგაგებაა, ყველაზე დიდი დაფასება ადამიანისა, მისი საქმიანობისა. ამის მიღწევა მხოლოდ პირადი ზნეობრივი ღვაწლით შეიძლება.

რა გუყოთ, რომ უგმაყოფილო ცოლი, რომელიც ოჯახის მიმართ მეტ ყურადღებას ითხოვს; რა გუყოთ, რომ დედა და დაც წუწუნებენ — მათ თავისი პატარა სიმართლე აქვთ. ვაჟას სიმართლე კი უფრო დიდი და მარადიულია, ამიტომაც იმკის იგი ხალხის თანაგრძნობასა და პატივისცემას.

ფილმის ფინალური ეპიზოდი საზეიმო ცერემონიალს გვიხატავს. ერთი შეხედვით, აქ ყველაფერი ნაცნობი და ისეთია, როგორც საზოგადოდ ამგვარ სიტუაციას შეეფერის. ასეთი რამ ხშირად გვინახავს ქრონიკებში, ტელეეპიზოდებში... მაგრამ, აღმეჭდა რა მართალი სურათი ჩვენი ყოფის ერთ-ერთი გამოვლენისა, რეჟისორმა შეძლო აქცენტების იმგვარი განლაგება, ისეთი განწყობის შექმნა, რომ ფინალური სცენა ბევრად უფრო მეტისმქმელი გახდა, ვიდრე გარეგნული ფაქტურა გვეუბნება.

ფილმში არის შესანიშნავი სახე მოხუცი გლეხკაცისა, რომელსაც ცხოვრების დიდი გზა გაუვლია, ვაჟას და ამ გლეხკაცის ურთიერთობა გარეგნულად მთელი ფილმის მანძილზე არაფრით არ განსხვავდება სხვა ადამიანებთან დამოკიდებულებისაგან, გარდა რაღაც სიტყვით გამოუთქმელი სიმპათიისა და შინაგანი სიახლოვისა, რაც ოდნავ შესამჩნევ ნიუანსებში ამოიკითხება (ხმის ინტონაცია, გამოხედვა, ურთიერთობაში ის სილაღე და სითბო, რომელიც მხოლოდ ახლობლებს სჩვევიათ...) ავტორებს სურთ გვაფრძნობინონ ვაჟას და სესიკა ძიას სულიერი ნათესაობა. ამ მოხუც კაცს ალბათ ბევრი სიმწარე და სიხარული უნახავს, ალბათ ბევრი რამ აქვს სათქმელი, მოსაგონარი, გასაზიარებელი, მას ალბათ, როგორც ყოველ ნამდვილ ქართველ გლეხს უყვარს ასლობელთან განმარტოება და ცხოვრების ავ-კარგზე სჯა-ბაასი... მაგრამ სესიკა ძიამ კარგად იცის ცხოვრების უბრალო სიბრძნე — ადამიანის ყოფიერების პირველსაფუძველი შრომა და სიყვარული. გლეხკაცმა უნდა მიწა ამუშაოს, კახელმა უნდა ვაზი აშენოს და შეიყვაროს. ამიტომაც ხედავს ასე დინჯად დროის მიერ მოტანილ ორომტრიალს და ასევე დინჯად განაგრძობს ვენახის მოვლას.

ავტორები არსად არ გამოდიან აბეზარი მორალისტის და ჭკუისდამრიგებლის როლში, თუმცა ფინალური სცენა, როდესაც ვაჟა თავისი ოჯახით ბოლოს სწორედ სესიკა ძიასთან მიდის, ერთგვარი პედალირებაა გარკვეული აზრისა. ძირითადად კი ისინი მაყურებელს ანდობენ ზნეობრივი დასკვნა დამოუკიდებლად გამოიტანონ ფილმიდან. რეჟისორი თითქოს ისწრაფვოდა ეკრანზე შემთხვევით „ნათვალთვალეგი" ცხოვრების უშუალო შეგრძნება გადმოეცა. ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს ფილმის წყობა, მიხი მონტაჟის და მსახიობური განსახიერების ბანერა, ხმოვანი ფაქტურა. მაგრამ ავტორი სულაც არ არის ემპირიოსი. ის უბრალოდ საშუალებას აძლევს მაყურებელს იხილოს, რაც ეკრანზე ხდება, ჩაუფიქრდეს მას, მიუსვდეს ავტორის ნაგულისხმევს და თვით გამოიტანოს დასკვნა. ამიტომ რეჟისორი შეეცადა მაქსიმალურად მიახლოვებოდეს ცხოვრებას, ეკრანზე აესახა ცხოვრების რეალური პლასტი, დაეხატა თანამედროვე მოქმედი გმირის სახე იმ გარემოსთან მჭიდრო კავშირით, სადაც ის ცხოვრობს და შრომობს, ამაზე მეტყველებს არ მარტო ფილმის მასალა ან ავტორების პოზიცია, არამედ სურათის სტილისტიკაც, რომელიც პირობითად შეიძლება განვსაზღვროთ როგორც „დოკუმენტური".

ფილმში პერსონაჟების მოქმედება არ არის გამოგონილი. ის, როგორც ვთქვით, მხატვრის მახვილი თვალით თვით ცხოვრების ფაქტებია დაძებნილი. ეს არის „ქვიშანის" რეჟისორის სიძლიერე. ეს სიძლიერე ცხოვრების ფაქტურის შეგრძნება, მიხი დამუშავება და ეკრანული წარმოსახვა. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება ჩაბი არ გაესვას ფილმის ოპერატორულ განსახიერებასაც — ალ. მღებრიშვილის და ლ. მაჩაიძის სანტერესო ნამუშევარს.

ძირითადი ანსამბლი ფილმში ტიპაჟური პრინციპით არის შერჩეული, ეს იგი შემსრულებლები პროფესიონალი მსახიობები კი არ არიან, არამედ თვით პერსონაჟების პროტოტიპები, ამ შემთხვევაში — კახელი გლეხები ან სხვა ჰროფესიის ადამიანები. მათი შერჩევისას რეჟისორი უთუოდ „ნატურალური" ან „ფსიქოლოგიური" ტიპაჟის პრინციპით ხელმძღვანელობდა. ეს ანსამბლი განსაკუთრებული აღნიშვნისა და მოწონების ღირსია.

ფილმი „ქვიშანი დარჩებიან" ეროვნულ კინოხელოვნებაში თანამედროვე სინამდვილის ეკრანული განსახიერების კარგი მაგალითია. მეორე მხრივ, თვით რეჟისორის შემოქმედებაში, „ქვიშანი დარჩებიან" თავისებური გაგრძელებაა იმ შიდა თემის, მოტივებისა და საწყისებისა, რომლებსაც გიორგი შენგელაია თავის „ალავერდობასა" და „ფიროსმანში" ეძიებდა.

ირინე კუპუხიძე.

* * *

სურათებზე: კადრები ფილმიდან „ქვიშანი დარჩებიან".

ჯადრაჯი

45-ე საკავშირო 16 უძლიერესი

ხვალ ლენინგრადში ... 45-ე საკავშირო ხაჭადრაკო ჩემპიონატი ვაუთა შორის (... ხი ლიგა), რომელშიც 16 ... რესი მოჭადრაკე ითამაშებს.

ამ ასპარეზობამ მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირის მონაწილეები უნდა შეარჩიოს, რომელიც მაისში გაიმართება ლვოვში. ზონალური ტურნირიდან მხოლოდ მსოფლიოს ექსჩემპიონი ტ. პეტროსიანი და დიდოსტატი ლ. პოლუგაევსკი გაათავისუფლეს, როგორც პრეტენდენტთა წლევანდელი ასპარეზობის მონაწილენი. ეს ორი დიდოსტატი პირდაპირ საზონათშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

აი, ვინ გამოდის ლენინგრადში: მსოფლიოს ექს-ჩემპიონები მ. ტალი (რიგა), ვ. სმისლოვი, ტ. პეტროსიანი (ორივე მოსკოვიდან), დიდოსტატები ლ. პოლუგაევსკი, ვ. გელერი (ორივე მოსკოვის ოლქიდან), ი. ბალაშოვი, ბ. გულკო (ორივე მოსკოვიდან), ლ. ალბურტი, ვ. ტუკმაკოვი (ორივე ოდესიდან), ო. რომანიშინი (ლვოვი), გ. კუზმინი (ვოროშილოვგრადი), ე. სვეშნიკოვი (ჩელიაბინსკი), ა. კოჩიევი (ლენინგრადი), საერთაშორისო ოსტატები ვ. ბაგირიანი (ბაქო), ი. დორფმანი (ლვოვი) და ოსტატი ა. გრიგორიანი (მოსკოვი).

პრეტენდენტთა ფინალური

ბელგრადში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტების ბ. სპასკისა და ვ. კორჩნოის ფინალური მატჩის მთიგი, მესამე პარტია. თეთრებით თამაშობდა კორჩნოი, რომელმაც მოიგო და მატჩის ანგარიში გახდა 2,5:0,5 თავის სასარგებლოდ.

მორიგი, მეოთხე პარტია ორშაბათისათვის არის დანიშნული.

ფეხბურთი

მეთორმეტე ფინალისტი

არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მოიპოვა ირანის ფეხბურთელთა ნაკრებმა, რომელმაც 23 ნოემბერს თეირანში ანგარიშით 1:0 დაამარცხა ავსტრალიის ნაკრები, ბურთი პირველი ტაიმის უკანასკნელ წუთზე ავსტრალიელთა კარში გაიტანა ეხანმა.

ამრიგად, თექვსმეტი ფინალისტი დან თორმეტი უკვე ცნობილია: არგენტინა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ბრაზილია, პერუ, შოტლანდია, მექსიკა, პოლანდია, პოლონეთი, ავსტრია, შვეიცია, საფრანგეთი და ირანი.

დანარჩენ ფინალისტებს გაარკვევს მატჩები, რომლებიც გაიმართება ქვემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების ნაკრებ გუნდებს შორის— ეგვიპტე-ტუნისი, იუგოსლავია-ესპანეთი, ბოლივია-უნგრეთი, და ტალია-ლუქსემბურგი.

საზღვარგარეთის სპორტიონებზე

უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულმა მოსკოვის „სპარტაკის" ფეხბურთელებმა შესანიშ მატჩი ჩაატარეს მაროკოში და მოუგეს ფუსის გუნდს — 1:0 (1:0).

ოდესის არმიის სპორტული კლუბის სპორტსმენებმა, რომლებიც გაისად პირველ ლიგაში ითამაშებენ, დაამთავრეს ამხანაგური მატჩების სერია ავსტრიაში: მოუგეს გუნდებს „ასკარის" — 4:2 და „ჰაბიბეს" — 9:1, აგრეთვე ქაბულის კლუბების ნაკრებს — 14:2. (საკადესის კორ.).

„სპორტლოტო"

სპორტულ ლატარიათა მთავარმა სამმართველომ 1977 წლის 23 ნოემბერს მოსკოვში გამართული „სპორტლოტოსა" და „სპორტლოტო-2-ის 47-ე ტირაჟის შედეგები.

„სპორტლოტო": ექვსი ნომერი ვერავინ ვერ გამოიცნო; ხუთი პლუს ერთი ნომრის გამოცნობნი მიიღებენ 2.885 მანეთს (2 ბარათი); ხუთი ნომრისა — 1.885 მანეთს (53 ბარათი); ოთხი ნომრისა — 37 მანეთს (3.060 ბარათი); სამი ნომრისა — 3 მანეთს (53.764 ბარათი).

„სპორტლოტო-2": ექვსი ნომერი მხოლოდ ერთ ბარათშია გამოცნობილი და გამომცნობი მიიღებს 5.000 მანეთს; ხუთი პლუს ერთი ნომრის გამომცნობნი მიიღებენ 1.794 მანეთს (2 ბარათი); ხუთი ნომრისა — 794 მანეთს (42 ბარათი); ოთხი ნომრისა — 26 მანეთს (1.959 ბარათი); სამი ნომრისა — 3 მანეთს (28.586 ბარათი).

47-ე ტირაჟის მოგებანი გაიცემა 1977 წლის 4 დეკემბრიდან 1978 წლის 4 იანვრის ჩათვლით.

... ტაბლა

... ეკონომისტ ... ე

ნოემბერი შემოდგომის ბოლო თვე, ზამთრის წინამორბედია. არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ტყის ფერთა დიდებული მალიტრის ტყვეობაში იყო არე-მარე. ახლა კი გვიანი შემოდგომის სუსხიან ქარებს გაეცამტვერებია ტყის მთელი სიმშვენიერე.

ფოთოლცვენისაგან ზვინებად ჭეულა ხეთა სამკაული. ფიჩქვეშ მხოლოდ ფოთოლთა ფაარენი უსაამს ხაზს დაცარიელებული ტყის უწეველი იდუმალებას.

სისხამი დილაა. სქელი ნისლი რძისფერ ფარდად გადაკვრია ჯერ კიდევ მძინარე ტყესა და ველ-მინდვრებს. დაამთავრა თავისი საქმე ფლობელის შემოვლა და სადღაც ველური ხმით გადაიკუსკუსა ბუმ. შემდეგ ყველაფერი კვლავ ძილნარევმა დუმილმა შთანთქა. მდინარის მხრიდან ნიავმა შემოუბერა, ალმოსავლეთით ინათა. გვიანი შემოდგომის სუსტი მზის საგალობლად ასლა თითო-ოროლა ფრთოსანნიღა თუ შემორჩა.

მაგრამ აი დღემ იმძლავრა. წლევანდელი უღრუბლო ნოემბრის ბნეთობმა მეწამულიდან აკვისტოსებურად გაასხივოსნა ბუნება. ტყეს აქა-იქ ჯერ კიდევ შემორჩენია უკანასკნელი საღღესასწაულო ბრწყინვალება. გამოსთვლოვარი საკვლუეცით ბუნება თითქოსდა ცდილობს შეაჩეროს, გული მოულბოს კარს მომდგარ ზამთარს.

ღამის პირველმა ყინვებმა პირველი ყინულოვი მოხარა გუბე-ტბორები, დილის ოთვალმა კი ათასგვარი ნაყმენი ნაადგილისტა ბალახები და ბუჩქები.



ისევ კონტრასტები. ბდრე ოდესაც თრთვილის ხელით ნაქსოვი მცენარეთა ჩუქურთმები — ზამთრის სურათი, დღისით ხეებზე შემორჩენილი ფოთოლთა ცოცხალი მოზაიკა — შემოდგომის დაუვიწყარი პეიზაჟია!

მომხიბლავია შემოდგომის ფოთოლთა თაიგული — ჭადრის, ნეკერჩხლის, ვერხვის ფოთლები... აი ასე, ამაყად და ლამაზად ფეფერფლება, ჭკნება ტყე.

წლევანდელის მსგავს თბილ შემოდგომაზე ხელმეორედ ჰკვავის ფოგიერთი ხე-მცენარე. კუს ტბის შემოთ მთის კალთებზე ნოემბერში ხელასლა აყვავდა კენელი. საქართველოში თბილი ზამთრის დროს იანვარ-თებერვალშიაც აყვავებულა ტყემალი. მცენარეთა მეორადი ყვავილობის ფაქტი ახსნილია მეცნიერების მიერ — შემოდგომის მიწურულს მცენარეთა მრავალწლიანი კვირტები ზმარად არ გადადიან მოსვენების მდგომარეობაში, ანდა ეს პროცესი სუსტად მიმდინარეობს. საკმარისია უნაეულოდ დათბეს, რომ ისინი კვლავ იღვიძებენ და იწყებენ განვითარებას.

.... წვიმებმა სადღაც შორეულ ქვეყნებში წაიღეს ზაფხული. ფრთოსანთა უმრავლესობამ დროებით დატოვა მშობლიური კუთხე-საბუდეები. ახლა ცას მმოლოდ ყველაზე დაგვიანებული მოგზაურები — გარეული ბატები და გედები თუ სვრავენ. ჩვენში მოუდგარი ფრინველებიც თავისებურად ემზადებიან ზამთრისათვის, ბევრი ადამიანის საცხოვრებელთან ახლოს ეწყობა — აქ თავის გატანა უფრო იოლი იქნება. ასლა სხვა ცხოველებსაც თავიანთი საზრუნაი აქვთ. აბა ყური მიუგდეთ გვიანი შემოდგომის ბუნებას, რამდენი საიდუმლოა!

თოვლის თეთრი საფარი ჯალე დაფარავს ტყეს. დაიბურება, წაიშლება ნადირთა ზამთრის სამყოფელიც. გაუჩინარდება მაჩვების, მელიების სორიები, ზღარბების საძინებელი. მანამდე კი საჭიროა ბინების მოწესრიგება, საკვების მომარაგება. საამისოდ ცხოველები თადარიგს იჭერენ სწორედ ფოთოლცვენისას. ჩამონაცვენი ფოთლებით განსაკუთრებით დაინტერესებულია დათვი, ზამთრის ხანგრძლივი ძილისათვის ბუნაგს ხომ რბილი ლეიბი სჭირდება, ასევე იქცევა მაჩვიც. ზღარბი ბურთივით დაგორდება ბალახებზე, აიცვლეს ფოთლებს ეკლებზე და შინისკენ მიემართ თ ... ტყის ბინადრები აგრძელებენ „მეღლეობისა" და „საკუჭნაოების" ავსებას. თხილი, კაკალი, წაბლი, რკო, გამხმარი სოკო ჯერ კიდევ მოიპოვება. ნადირთ არც საზამთრო „ჩაცმულობაზე" გადასვლა ავიწყდებათ — ქურქი ახლა უფრო სქელი და ზამთრის საზონისათვის ფერითაც შესაფერისი ხდება.

ნოემბერში ცხოველები ჯგუფდებიან: მგლები — ხროვებად, გარეული ღორები— კოლტებად; თევზები — ლოქო, კობრი, ქორჭილა და სხვები წყალსაცავების ფსკერზე ეშვებიან.

...მიიწურა შემოდგომა, ზამთარი კარს მოგვადგა.

არნ. გეგეჭკორი,
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ტელევიზია

27 ნოემბერი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში (ფერადი. მოსკოვიდან), 10.30 — შვეიწყალოთ რუსული ენა, 11.15 — ქართული სატელევიზიო ფერადი დოკუმენტური ფილმი „დარიალის ჩანახატები", 11.30 — ტელეკურსელთათვის — ქართული ენა, 12.00 — პირველად ტელეეკრანზე. თოჯინების სახელმწიფო ცენტრალური თეატრის ფერადი ფილმი — სპექტაკლები „პეტრუშკა — უცნობელი" და „მისტერ ტვისტერი". ხელმძღვანელი საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ს. ვ. ობრაზცოვი. (მოსკოვიდან), 13.00 — „ჯანმრთელობა"— სატელევიზიო პროგრამა, 13.30 — „კინოაფიშა", 14.00 — „საბადრაკო სკოლა", 14.20 — „ეროდენას ეკრანი", 14.40 — მოსწავლეთათვის — „მხიარული შეჯიბრება" (ფერადი), 15.15 — „ხუთწლედის მოწინავე ხაზზე" — სატელევიზიო პროგრამა, 16.00 — „კოცონი" — სატელევიზიო პროგრამა პიონერებისათვის, 16.40 — „საშინაო მიმოხილვა" (რუსულ ენაზე), 17.05 — ახალგაზრდობისათვის — „კომკავშირული ტელეტაიპი", 17.25 — „საერთაშორისო პანორამა" (ფერადი. მოსკოვიდან), 18.00 — თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების დაწესებულებათა მხატვრული შემოქმედების დათვალიერებაში გამარჯვ